ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 53
ხუთშაბათი, 14 აპრილი

1877—1905

№ 53
ხუთშაბათი, 14 აპრილი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანეთი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათ.-მდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ.-ადრესი: Тиф., Ред. „Иверія".

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ტელეფონი № 922.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
„ივერია".
1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს
პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა"**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 აპრილადან წლის დამლევამდის 7 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.
რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).
საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія".

ქართული წარმოდგენა. ვეტცელის თეატრი,
სამშაბათს, 19 აპრილს, 1905 წ.
ქართულ დრამატიულ დასის-მიერ წარმოდგენილი იქნება

შრომის ლუკმა.

კომედია 4 მოქმ. ოსტროვსკისა, თარ. ი. ევდოშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ტ. აბაშიძე, ნ. დავითიშვილი, ვ. ნებიერიძე, ნ. ჯავახოვისა; ბ.ბ. ვ. აბაშიძე, ს. სვიმონიძე, ი. ივანიძე, ა. იმედაშვილი, ზ. საფაროვი, მ. იორდანაშვილი და სხვა.

ანტრაქტებში **ბ-ნ კავსაძის** ლოტბარობით ქართული **ხორო** შეასრულებს რამდენსამე სიმღერას.

დასაწყისი საღამოს $8\frac{1}{2}$ საათზე.
რეჟისორი **ვ. აბაშიძე.**
გამგენი: **ზ. საფაროვი და ბ. ბეგლარიძე.**
(3—1)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. ვედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე. კბილის—8—9 საათ.
გ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი. ოთხშაბ. 9—10 საათამდე და კვირაობით 9—11 საათ.
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა $9\frac{1}{2}$—$10\frac{1}{2}$ ს.
ნ. ტ. მულინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.
ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.
ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგ. და ბავშვ. 12—1 ს.
დ. ა. ვედევანიშვილი.—შინაგანი და ნერვებისა 12—1 ს.
ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
კ. ნ. დიასამიძე. — ვენერიული და კანისა $12\frac{1}{2}$ $1\frac{1}{2}$ საათ.
ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.

საღამოს:

ს. ი. ვაჩნაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ქიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით, კრავატები დღეში ღირს 2-დან სამ მანათამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი), სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 ბ.

ტელეფონი № 274.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ყ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.
მ. გ. ამეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
კ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.
ზ. ა. თარხანოვი—1—$1\frac{1}{2}$ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.
ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—$1\frac{1}{2}$—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.
ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშნვით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **კ. გძელიშვილი.**
Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.
კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში. ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევს 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 13.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაჩნაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ღორერის სახლი № 157.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრების დადგენილება.

იმერეთის თავად-აზნაურობამაც გამართა საგანგებო კრება სხვადასხვა საკითხებზე მოსალაპარაკებლად. სხვათა შორის, განსახილველ საგნების სიაში შედიოდა ხელმწიფის სახელზე ადრესის შედგენა, და ყველას საინტერესოდ მიაჩნდა იმის გაგება, თუ რას იტყოდა ადრესში თავად-აზნაურობა და როგორ გამოხატავდა — თუ კი საზოგადოდ გამოხატავდა—ქართველ ერის საჭიროებას. ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობისაგან შემუშავებულ ადრესს შემდეგ თითქმის აღარავისა ჰქონდა ეჭვი, რომ მოწინავე აზრებს იმერეთი არ უღალატებდა და იქაური თავად-აზნაურობაც თავის მხრივ ადრესში საქართველოს სრულს ავტონომიურ თვით-მართველობას მოითხოვდა. თუმცა საზოგადო მოლოდინი ასეთი იყო, მაგრამ ცნობის მოყვარეობით ვუცდიდით ნამდვილ ამბის მიღებას.

ეს ამბავი უკვე მოვიდა, რომელმაც დანამდვილებით გაგვაგებინა, რომ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობასაც ქართლ-კახეთსავით საქართველოს ავტონომია უცვნია მთელის ერისთვის სასარგებლო პოლიტიკურ ღონისძიებად და ამისი მოთხოვნა ადრესშიაც გაუტარებია.

ამ ადრესში, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ ქუთაისის გუბერნიის ქართველ თავად-აზნაურობას პირველად ეძლევა იმედი, რომ მალე განხორციელდება ქართველ ერის სურვილი და სასოება შესახებ თავისუფალ შინაურ თვით-მართველობისა, რომელიც საფუძვლად ჰქონდა დადებული ერთმორწმუნე რუსეთთან საქართველოს ნებაყოფლობით შეერთებას.

ქუთაისის გუბერნიის ქართველი თავად-აზნაურობა რუსეთის მთელ ერთან ერთად აღჭურვილია საერთო რუსეთის სახელმწიფოს კეთილდღეობისადმი მისწრაფებით და ღრმად დარწმუნებულია, რომ ახლოა ის დღე, როდესაც თავისუფლად არჩეულნი მთელის რუსეთის ხალხის წარმომადგენელნი შეუდგებიან რუსეთისა და მის განაპირა ქვეყნების მართვა-გამგეობის საქმეთა სასურველად მოწესრიგებას. ქუთაისის გუბერნიის ქართველი თავად-აზნაურობა უერთდება ტფილისის გუბერნიის ქართველ თავად-აზნაურობის-მიერ შემუშავებულ უქვეშევრდომილეს ადრესში გამოთქმულ სურვილს და თავის წმინდა მოვალეობად სთვლის გამოსთქვას თავისი შეურყეველი რწმენა, რომ ქართველ ერის დაწყნარებისა და მის მშვიდობიან, კულტურულ განვითარებისათვის ერთად-ერთი საშუალება ის არის, რომ საქართველოს, — რომელიც შესდგება ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებისაგან, ბათუმის მხარისა, სოხუმისა და ზაქათალის ოლქებისაგან, — მაინიჭოს უფლება, თავისი შინაური საქმეები განაგოს ისეთის კანონებით, რომელსაც დაადგენს ხალხის წარმომადგენელთა კრება, არჩეული საქართველოს ყველა მცხოვრებთაგან საზოგადო, ფარულ, პირდაპირ და თანასწორ კენჭის ყრით".

როგორც ხედავთ, ადრესში ნათლად და გარკვევით არის გატარებული საქართველოს ავტონომიურ თვით-მართველობის იდეა, რომლის განხორციელებაც ხალხის მოთხოვნილებებთან შეთანხმებულ დემოკრატიულ საფუძველზე ჩვენც ქართველ ერის კულტურულ განვითარების აუცილებელ პირობად მიგვაჩნია.

ამიტომ არ შეგვიძლია სიამოვნებით არ აღვნიშნოთ იმერეთის თავად-აზნაურობის დადგენილება, მით უფრო, რომ ეს დადგენილება ძველებურ ლაქიურ პოლიტიკის შეცვლის საფუძველსა და იმედს იძლევა. ჩვენ, რასაკვირველია, ისეთი გულუბრყვილო არა ვართ, რომ ამგვარის წერისაგან მოველოდეთ რაიმე სახეირო ცვლილებებს და ჩვენი სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრების გაუმჯობესებას. მაგრამ ყოველ საქმეს, რაც უნდა პატარა იყოს იგი, თვისი აზრი და მნიშვნელობა აქვს, და ამიტომ ჩვენ სასარგებლოდ მიგვაჩნია თავად-აზნაურობის დადგენილებაც, რადგან იგი მხარს უჭერს ისეთ მოთხოვნილებას, რომლის დაკმაყოფილებაც მთელის ქართველ ერისთვის აუცილებლად საჭირო და სასარგებლოა.

ასეთი მხრის დაჭერა და ბანის მოცემა სჩანს ისეთ წრეში, რომელიც დღემდის არსებულ წესწყობილებას ერთგულად და თავგამოდებით ემსახურებოდა. დღეს ეს წოდებაც თვით-ცნობიერების გზაზე დგება და, აზვირთებულ ცხოვრების ზედგავლენით, ხმას იღებს და პროტესტს უცხადებს იმ ბიუროკრატიულ რეჟიმს, რომელმაც ქართველი ერი დასცა და გათახსირების გზაზე დააყენა.

და ეს ხმა, ვითარცა პროტესტი და სახალხო მოთხოვნილებისადმი სოლიდარობის გამომცხადებელი, დიდად სასიამოვნო და კმაყოფილებით აღსანიშნავია...

სათათბირო თუ საკანონმდებლო უფლება?

გუბერნიის მარშლები შეგროვდნენ მოსკოვში და რუსეთის ახლანდელ მდგომარეობის შესახებ თავიანთი შეხედულება გამოსთქვეს...

გადაჭრით აღიარებენ „საზოგადო ცხოვრების მოუწყობლობას", ამბობენ იმასაც, რომ „ახლანდელი საპოლიციო და ბიუროკრატიული წყობილება" არ ვარგა!

მაგრამ ამასთან ერთად ამბობენ იმასაც, რომ ახლა დრო აღარ არის, „გავკიცხოთ ეს წყობილება და წარსულს დავუბრუნდეთო".

რაღა გზას დავადგეთ? გავკიცხოთ ახლანდელი წყობილება, თუ გავჩუმდეთ, ხმას ნუ ამოვიღებთ ნუღარაფერზე?

მარშლები გვეუბნებიან, ხელი გავუწოდოთ ერთმანეთს, ხმა ამოვიღოთო ხელმწიფის მოწოდებაზეო?

მაგრამ ამასთანავე მათ ენატრებათ ისეთი საერო კრება, რომელსაც მხოლოდ სათათბირო ხმა ექმნება მინიჭებული...

როგორი იქმნება ეს „სათათბირო" კრება,—იმავე ბიუროკრატიის მიერ შექმნილი და მოწვეული?

ამას ყველა ადვილად მიხვდება!

„საერო კრებამ უნდა მოსპოს მოხელეების თვითნებობა და დროზე გააგებინოს მეფეს ხალხის სხვადასხვა საჭიროება," —გვეუბნებიან მარშლები. — „სვინიდისისა და სიტყვის თავისუფლება, პიროვნების ხელუხლებლობა თუ დაირღვა რითიმე რუსეთში, კრებას უნდა ჰქონდეს უფლება, ამის შესახებ შეეკითხოს ხოლმე მინისტრებს და მინისტრებიც პასუხის-მგებელნი უნდა იყვნენ ხელმწიფის წინაშე".

ამას ამბობენ მარშლები...

ივიწყებენ, რომ მინისტრები წინადაც ყოფილან პასუხის მგებელნი ხელმწიფის წინაშე, მაგრამ მათ თვითნებობის ასალაგმავად საკმარისი არ გამოდგა ასეთი პასუხის-მგებლობა!

ამბობენ, —სათათბირო კრებას შეეძლება მოსპოს თვითნებობაო! სათათბირო კრება „ურჩევს" ხოლმე მინისტრებს, აიცილონ თავიდან რომელიმე შეცდომა...

მაგრამ მინისტრებმა არაფრად რომ არ ჩააგდონ ამ კრების რჩევა? კრება ზედი-ზედ „შეეკითხება", პასუხსაც მოსთხოვს?.. რას უპასუხებენ მინისტრები იმ კრებას, რომლის წინაშე ისინი არ არიან პასუხის მგებელნი?

მარშლებს უნდათ, სათათბირო საერო კრებამ მოსპოს ყოველნაირი თვითნებობა იმითი, რომ „შეატყობინებს" მეფეს ხალხის სხვადასხვა საჭიროებას.

ესეც არ კმარა! კრების რჩევა შეიძლება საეჭვოდ მიიჩნიონ მინისტრებმა, შეიძლება გამოაცხადონ, კრების უმეტესობა „კონსტიტუციის შემოღებას" ცდილობს და ამიტომ არ შეიძლება მათ რჩევას დაეუჯეროთო.

სათათბირო კრებას უნდა მიანიჭონ სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვის გარჩევის უფლება და ივიწყებენ, რომ ამ განხილვას ყოველივე მნიშვნელობა დაეკარგება, თუ კრების აზრი არ შეიქმნება სავალდებულო მინისტრებისთვის.

ამნაირ გზაზე დადგომა მხოლოდ გააძლიერებს ხალხის უკმაყოფილებას და შეუძლებლად გახდის რუსეთის მშვიდობიან განვითარებას.

მარშლებს უნდათ მშვიდობიანობა დამყარდეს რუსეთში, მაგრამ ავიწყდებათ, რომ შეუძლებელია მშვიდობიანობა, თუ ხალხს შესაფერი უფლება არ ექმნა მინიჭებული.

საერო კრება სახელმწიფო წეს-წყობილებაში ხორცშეტივით არ უნდა იყოს შემოტანილი. სახელმწიფოს მოხელეთა მოქმედება უნდა იყოს დამოკიდებული ხალხის წარმომადგენელთა სურვილზე!..

ეს პირობა აუცილებელია და სწორედ ამ პირობას უარყოფენ რუსეთის მარშლები.

უნდათ, იყოს მოწვეული საერო კრება, რომელსაც ექმნება მინდობილი ხალხის სურვილების გამოთქმა.

მეორეს მხრივ კი აცხადებენ, —რომ ეს სურვილები მთავრობისთვის არ უნდა იყოს სავალდებულოო.

ივიწყებენ, რომ ამას აუცილებლად მოჰყვება დაუსრულებელი არეულობა, რომ ამის გამო გადაემტერებიან ერთმანეთს ხალხის წარმომადგენელთა კრება და მთავრობა.!..

დასავლეთ ევროპაში მინისტრები ყოველთვის პალატაში, საერო კრებაში მომქმედე უმეტესობის წარმომადგენელნი არიან. მარშლების აზრით კი, ხალხის წარმომადგენლებს მინისტრებთან არაფერი კავშირი არ უნდა ჰქონდეთ.

ერთის მხრივ იქმნება საერო კრება, მეორეს მხრივ კი იგივე ბიუროკრატია, რომელსაც აღარ ენდობა არავინ, რომლის ჩამოშორებას მოითხოვს ხალხი!

ხალხის წარმომადგენლები შემდეგში მოითხოვენ უთუოდ, რომ მართვა-გამგეობაში ნამდვილ კანტროლობის უფლება ჰქონდეს მინიჭებული. ხალხის წარმომადგენლები აღარ იკმარებენ სათათბირო უფლებას, ამის გამო გამწვავდება მათი დამოკიდებულება მინისტრებთან და შეუძლებელი შეიქმნება ყოველგვარი კანონმდებლობა სახელმწიფოში!

ცნობილი მეცნიერი ჩიჩერინიც ამბობდა, სათათბირო საერო კრების შემოღება არ არის სასურველიო.

ყოველ უფლებას მოკლებული სახალხო კრება ეცდება ზნეობრივი გავლენა მაინც იქონიოს მინისტრებზეო, ყოველთვის ცდება აგიტაციის საშუალებით დაიყოლიოს მთავრობა. ხალხის აღელვება, კრებები, გაზეთებში ხალხის უკიდურეს მდგომარეობის აწერა,—ყველა საშუალებას მიჰმართავენ იმისათვის, რომ ამა თუ იმ გზას დაადგეს მთავრობა, რომ გაიმარჯვოს უმეტესობის სურვილმა

მარშლებს უნდათ რაღაც „ახალი რუსეთის ისტორიულ და გეოგრაფიულ პირობათა შეთანხმებული წესწყობილება" შემოიღონ რუსეთში, მაგრამ საქმით კი სულ სხვას გვიქადაგებენ, —აიღეს რამდენიმე ლიბერალური აზრი, დაუმატეს მათ „მოსკოვის უწყებების" ნათქვამიც, შეაზავეს ერთმანეთში და შეჰქნეს ისეთი წესწყობილება, რომელიც ვერ დააკმაყოფილებს ვერავის!...

ამნაირად ხალხის დამშვიდება არ შეიძლება!

(„პრავო" № 13)

თ. ევგენი ტრუბეცკოი.

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

12 აპრილი.

ლონდონი. ბრიტანიის ხმელთა-შუა ზღვის ესკადრა მალტიდან მარმარიკში წავიდა, სადაც ატლანტიურ ესკადრასთან ერთად ტაქტიური ადლუმები ექმნება.

პარიზი. მინისტრთა თანხლებით ლუბე ბორდოში მივიდა. დარბაზობის დროს ლუბემ სთქვა: საფრანგეთს ჯარისა და ფლოტის დიდი იმედი აქვს. მათი ძლიერება ქვეყნის ღირსებისა და მშვიდობიანობის უზრუნველ-მყოფელიაო.

რომი. ერც-ჰერცოგი ფრიდრიხ ავსტრიელი ახლო მომავალში იტალიის მეფეს ინახულებს იმ აზრით, რომ ამ ორ სახელმწიფოთა შორის არსებული მეგობრული კავშირი უფრო განამტკიცოს.

სოფია. გუშინდელ მიტინგების შესახებ დამატებითი ცნობები მოვიდა. კიდევ მომხდარა შემდეგი ამბები: ბორისოგლებსკში ბრბომ გალახა ერთი ბერძენი და ორ ბერძნის დუქანს რამდენიმე ფანჯარა ჩაულეწა. წესიერება პოლიციამ აღადგინა; ფილიპოპოლში სამოცმა მაკედონელმა ფანჯრები ჩაუმტვრია სამ ყავახანას, ერთ აფთიაქს, ორ მებულკეს, სამ კერძო სახლს და ბერძნების სკოლას. მანიფესტანტებისა და პოლიციელთა შეტაკების დროს დაიჭრა ერთი ჟანდარმი. მეამბოხეები დატუსაღებულ იქმნენ, აგრეთვე დაატუსაღეს ორი ბერძენი სალდათი, რომლებიც სამიკიტნოში შეიპყრეს და რომელთაც, მიუხედავად აღკრძალვისა, თან იარაღი ჰქონდათ. უწესობების თავიდან ასაცილებლად პოლიციის პრეფექტურამ განკარგულება მოახდინა, ღამით ბერძნების უბანში ცხენოსანი ჯარი იქმნეს ჩაყენებულიო.

მოსკოვი, 12 აპრილი. დილის სამ საათზე ბრომლეის მანქანების გამკეთებელ ქარხანას ცეცხლი გაუჩნდა. მესამე სართულში შეხუთულმა გაზმა საშინლად იფეთქა. ძლიერ დაშავდნენ ცეცხლის მქრობელთა რაზმის 15 კაცი და ბრანდ-მაიორი დიხტინსკი. ზარალი 50,000 მანეთამდეა.

პარიზი. ინგლისის მეფე 16 აპრილს მოვა მარსელს და იქიდან დაუყოვნებლივ გაემგზავრება პარიზს. პრეზიდენტს ლუბეს ნახავს 17 ან 18 აპრილს.

ბერლინი. პოლიტიკოსები დიდ მნიშვნელობას არ აძლევენ კრიტოსელთა მანიფესტაციებს. როგორც ეტყობა, შეუძლებელია, რომ იმ დიდ სახელმწიფოებმა, რომელნიც კრიტოსის მფარველებად ითვლებიან,—იმას გარდა, რომ უარჰყოფენ ავსტრიასთან შეთანხმებით კრიტოსის დამოუკიდებლობაში რაიმე ცვლილების მოხდენას,—გულგრილად უცქირონ ამ წინააღმდეგობას და დასთანხმდნენ, რომ კრიტოსი საბერძნეთს შეუერთდეს. დამცველი ჯარები ჯერ ისევ კრიტოსზეა და სუდის ნავთსადგურშიაც რამდენიმე სამხედრო გემი სდგას. სხვა ღონისძიებათა მიღება საჭირო არ იქნება. განსაკუთრებით ახლა ძლიერ საშიშია კრიტოსის საბერძნეთთან შეერთება. თუ მაკედონელებმაც კრიტოსელთა მაგალითს მიჰბაძეს, მაშინ ევროპას დიდი თავში სატეხი საქმე გაუჩნდება ბალკანეთის ნახევარ-კუნძულზე.

ფილადელფია. რუზველტის პირადმა მეგობარმა ჰამმონდმა ამას წინად სიტყვა წარმოსთქვა ამერიკის საპოლიტიკო მეცნიერების საზოგადოებაში და განაცხადა,—იაპონია კორეას უკვე ჰფლობს და, შესაძლოა, მალე მანჯურიის მფლობელიც შეიქმნეს; ამის მომავალში იაპონია შორეულ აღმოსავლეთში მეტად ძლიერ მოწინააღმდეგე და მოქიშპე ქვეყნად გახდება ამერიკისთვის. მაშინ ყველაფერი დამოკიდებული იქნება უძლიერეს საზღვაო ძალაზე და ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისიც იძულებულნი გახდებიან უძლიერესი ფლოტი იყოლიონ შორეულ აღმოსავლეთის წყლებში.

პალერმო, 12 აპრილი. იმპერატორი ვილჰელმი წუხელის მესსინიდან მოვიდა.

ფლიპპოპოლი. ინგლისის მეფე და დედოფალი 11 აპრილს, საღამოს, სარდინიაში წავიდნენ.

მოსკოვი. გუბერნატორმა საერობო კრების თავმჯდომარეს შეატყობინა, 22 აპრილისათვის ქ. მოსკოვში მოწვეული ყველა ერობის წარმომადგენელთა საერთო კრება,—არც ოფიციალური და არც კერძო,—არ არის ნება-დართული.—მდინარე მოსკოვზე ნიჟნი-ნოვგოროდამდე გემების მიმოსვლა დაიწყო. ფინლიანდიის გემების მსგავსი 20 სხვადასხვა გემი დაიქირავეს.

ჰელსინგფორსი. რეველიდან და ინგლისიდანაც პირველი გემები მოვიდნენ.

ლოძი. პოლონელთა უქმეების პირველმა სამმა დღემ მშვიდობიანად ჩაიარა: ტყუილი და გამოგონილი გამოდგა ხმები, ვითომც ხალხი გერმანელებსა და ურიებს გალახვას უპირებდეს. ქუჩებში წესიერება არავის არ დაურღვევია.

ბერლინი. საფრანგეთის პრესსის ინგლისური ნაწილი სცდება, თუ ჰფიქრობს რომ დელკასეს გარეშე საქმეთა მინისტრის სამსახურში დარჩენა აქ ვისიმე უსიამოვნებას იწვევდეს. სულ ერთია რომელი იქნება მინისტრად. აქაური პოლიტიკა უცვლელი დარჩება მას შემდეგ რაც გერმანიამ შეიტყო, რომ საფრანგეთი მაროკკოზე პროტექტორობის მოპოვებას ცდილობს. გერმანია ითხოვს მაროკკოს დამოუკიდებლობის შერჩენას. ტყუილია ინგლისის გაზეთების მიერ გავრცელებული ხმები, ვითომც გერმანიას შანტუნში თავის საზღვრების გაფართოება სურდეს. გერმანია ჩინეთში მოითხოვს მხოლოდ თავისუფალ ვაჭრობის პრინციპს და ყოველგვარ პრივილეგიების მოსპობას. უსწოროა ის ხმაც, ვითომც ამერიკა აპირებდეს მიჰყიდოს 400 მილიონ დოლარად ფილიპინები იაპონიას, იმისთვის, რომ ამით აიცილოს იაპონელების ამერიკაში გადასახლება. იაპონელები მხოლოდ ჩინეთისკენ აპირებენ გადასახლებას და ამიტომ ჰგზავნიან იქით საპოლიტიკო პროპაგანდისთვის თავიანთ წარმომადგენლებს. იაპონელები ჩინეთში წინადვე გარკვეულ გეგმის თანახმად მოქმედობენ, ჰგზავნიან აქეთ თავიანთ ინსტრუქტორებს და ჩინოვნიკებსაც. ბერლინის დიპლომატიურ წრეებში ცოტათი გაოცებული არიან იმის გამო, რომ საფრანგეთმა შეასრულა იაპონელების სურვილი როჟდესტვენსკის ესკადრის შესახებ,—ინგლისელები კი ამის გამო ქებით იხსენიებენ საფრანგეთს.

მოსკოვი, 12 აპრილი. მოსკოვ-ყაზანის რკინის გზის მოსკოვის საქონლის საწყობ სადგურზე, როდესაც ჯარის ერთი რაზმი მატარებლით შორეულ-აღმოსავლეთში წასვლას აპირებდა, რაზმის უფროსის თანაშემწემ, პორუჩიკ გოტლიბოვმა რევოლვერით მოჰკლა ჯარის-კაცი მარჩენკო, რომელმაც წინააღმდეგობა გაუწია გოტლიბოვს და სიტყვით შეურაცხჰყო იგი.

ბორდო, 12 აპრილი. ლუბე დაესწრო გამბეტას ძეგლის კურთხევას.

ბორდო, 12 აპრილი. პრეზიდენტმა ლუბემ ბანკეტზე განაცხადა, ბორდოში იმიტომ ჩამოვედით,

რომ მთავრობამაც მონაწილეობა მიიღოს გამბეტას დღესასწაულში, იმ გამბეტასი, რომელსაც სამშობლოს იმედი არასოდეს არ დაჰკარგვია და რომელმაც კრიზისის დროს საფრანგეთი დაღუპვისაც გადაარჩინაო. ლუბე ურჩევდა საზოგადოებას, ახალგაზრდობას ზნეობრივი აღზრდა მიეცითო ვინაიდან ასეთი აღზრდა მშვიდობიანობის და ძლიერების შემქმნელი არისო. პრეზიდენტს ხალხი სიხარულით ეგებებოდა.

მოსკოვი, 12 აპრილი. ღამის 2 საათზე ცეცხლი მოეკიდა ბრომლეის ქარხანას. ცეცხლის დროს დაშავდა ბრანდ-მაიორი ლიხტინსკი და 12 ცეცხლის მქრობელი. დაიწვა მეზობელი სახლებიც. ცეცხლი ჯერ ვერ ჩააქრეს.

ტომსკი, 12 აპრილი. იურიდიულმა საზოგადოებამ საჭიროდ სცნო ყოველ მხრივ შესწავლილ იქმას ციმბირში ერობის შემოღებისა და განსაკუთრებით ხალხის წარმომადგენლობის საქმე.

პეტერბურგი, 12 აპრილი. კოსტრომის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშალმა გაზეთ „კოსტრომსკი ლისტოკში" წერილი დასტამბა: „ამა წლის 30 მარტს წარვუდგინე ხელმწიფეს, რომელმაც კეთილ-ინება და მიბრძანა: „ჩემი სურვილი ხალხის წარმომადგენელთა მოწვევის თაობაზე შეურყეველია და შინაგან საქმ. მინისტრი ყოველსავე ღონეს ხმარობს ამ საქმის დასაჩქარებლად".

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

12 აპრილი.

საიგონი. კამრანის ნავთსადგურში რუსის 18 გემი სდგას, მათ შორის არიან „სვეტლანა" და „ორიოლი", და ხუთი გერმანიისა და სხვა ქვეყნების სავაჭრო გემი. რუსის უკანასკნელი კონტრნაღმოსანი ადმირალ როჟესტვენსკის გაჰყვა.

ტოკიო. შიშობენ, რომ ჩინეთი უძლურობისა გამო ნეიტრალიტეტის დაცვას ვერ მოახერხებსო. რადგანაც რუსის კრეისერი „ასკოლდი'' წასასვლელად საჩქაროდ ემზადება, იპონია ჩინეთს განცხადებებს უგზავნის.

ჰონკონგი, 12 აპრილი. გერმანიის კრეისერის უფროსი იუწყება, ფორმოზას სრუტეში იაპონიის სამხედრო გემი ვნახეო. ამ გემს მეორე ძალიან დაზიანებული სამხედრო გემი ბუქსირით მიჰყავდაო.

შანხაი. იაპონიის ზღვის ჩრდილოეთის ნაწილს და აგრეთვე სურგარისა და ლაპერუზის ყურეებს იაპონიის ნაღმოსნები ყოველ ღამე პროჟექტორებით ანათებენ, რათა რუსის ესკადრის გავლას ხელი შეუშალონ. იაპონიის ფლოტი უთუოდ ფორმოზას სამხრეთით დადის. ჰფიქრობენ, ნისლიანი ამინდი როჟესტვენსკის ესკადრას შეაძლებინებს ფორმოზას აღმოსავლეთით გაიაროსო. ჩინეთის ზღვის ნაპირები სავსეა იაპონიის ჯაშუშებით.

მალტა, 12 აპრილი. ინგლისის სამი კრეისერი კრიტოსისკენ წავიდა.

ჩიფუ, 12 აპრილი. კორეიაში ხმა დადის, ტოგოს ფლოტის უმეტესი ნაწილი 7 აპრილს მოზამპოს ყურეში იყოო.

ოკუს ჯარი, 11 აპრილი. საღამოს მუკდენში მოვიდა პირველი მატარებელი, რომელიც ხუნხეს მდინარეზე დროებით ხიდით გადავიდა. რამდენსამე დღეში დალნისთან რკინის გზის მუდმივი მიმოსვლა გაიმართება. ნიუჩუანიდან ზოგიერთი სურსათი და სამხედრო მასალა ტელინში ნავებით იგზავნება.

ბერლინი, 12 აპრილი. აქ უარჰყოფენ იმ ცნობას, ვითომც გერმანიის კრეისერს ,,შპერბურგს'' 9 აპრილს ფორმოზას სრუტეში იაპონიის გემები ენახოს. 9 აპრილს კრეისერი ,,შპერბურგი'' ფორმოზას სრუტეში სრულებით არ ყოფილა. 18 მარტს ეს კრეისერი შანჰაი-გუანიდან ცინჯოუსაკენ წავიდა და 11 აპრილს ცინჯოუდან ჰონკონგისაკენ გავიდა.

სინგაპური, 12 აპრილი (რეიტერი). უპასპორტო რუსი ვლადიმერ ანტონის ძე ოვრიჩი დააპატიმრეს გამაგრებულ კუნძულ პელიუბრანზე, სინგაპურის მახლობლად. ბრალსა სდებენ, რომ მთავრობის კუთვნილ მიწა-წყალზე იყო ნებადაურთველადაო. პოლიცია საქმეს იძიებს. დაპატიმრებული ინგლისურად ვერ ლაპარაკობს. ცხოვრობდა ინგლისელ შტაბ-აფიცერთან. ჰფიქრობენ, ჯაშუში უნდა იყოსო, თუმცა, მოხელეთა სიტყვით, საამისო საბუთის ქაღალდები ვერ უპოვეს.

გუნჯულინი, 17 აპრილი. ჩინელები იუწყებიან, იაპონელებმა რუსთა ჯარის მარცხენა ფრთეზე, აღმოსავლეთისკენ, წინ-სვლა დაიწყესო. იაპონელებს სამხედრო სურსათი და ნუზლ-სანოვაგე აკლიათ.

შანხაი, 12 აპრილი. მოვიდა გემი „შლეზვინგი" და 600 პორტ-არტურელი დაჭრილი და ავადმყოფი ჯარის-კაცი მოიყვანა.

დაიწყეს ოფიციალურად შანჰაი-კანკინის რკინის გზის ლიანდაგის დაგება. დაესწრნენ წარმომადგენელნი ჩინეთ-ინგლისის სინდიკატისა, რომელსაც აღებული აქვს ამ გზის კონცესია.

ლონდონი, 12 აპრილი. „ვესტმინსტერ გაზეთ"-ში კანონ. მაკკოლი იაპონიის პროტესტს კამრანში რუსის ესკადრის ყოფნის შესახებ უსაფუძვლოდა სთვლის. საფრანგეთის სანეიტრალიტეტო წესები არაფერს ამბობსო, რამდენს ხანს უნდა დარჩეს საფრანგეთის ნავთსადგურებში მეომარი გემები. ინგლისის წესები, რომელიც 24 საათის ნებას იძლევა, საერთაშორისო უფლებაში არ შედისო. იაპონიას არა აქვს ნება ინგლისს დახმარება სთხოვოს. რუსეთს კი შეუძლიან დახმარება სთხოვოს საფრანგეთს, რადგანაც იაპონიამ დაარღვია სახელმწიფოების მიერ აღიარებული კორეის ნეიტრალიტეტი. იაპონიამ რუსის სამხედრო გემი ჩინეთის ნავთსადგურში დაატყვევა. ჩინეთის ხუნხუზები იაპონელების უფროსობით რუსებს ეომებიან.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

მომავალი ბრძოლა ზღვაზე. „ფრანკ. ცეიტუნგ"-ის აზრით, ადმირალი როჟესტვენსკი ძალიან შესცდა, რომ თავის ესკადრა გაჰყო, დააქუცმაცა და ადმ. ნებოგატოვს არ დაუცადა. შესაძლებელია, რომ როჟესტვენსკის შემდეგი გეგმა ჰქონდეს შემუშავებული: იაპონელები ფელკერზამის რაზმს დაეცემიან და, თუნდაც რომ დაამარცხონ, შესუსტდებიან. ამის შემდეგ იაპონელების დამარცხება ადვილი იქნებაო. მაგრამ რუსეთის ადმირალს დაავიწყდა, რომ საქმე ადმირალ ტოგოსთან აქვს. გამოცდილი და გაწვრთნილი ტოგო ამით ისარგებლებს და როჟესტვენსკის ესკადრასაც ისევე გაანადგურებს ნაწილ-ნაწილად, როგორც პორტ-არტურის ესკადრა გაანადგურა. რაც უნდა იყოს, ადმირალმა როჟესტვენსკიმ ტოგოსთან მიახლოვება გაბედა და სწორედ ამით თავის ესკადრა დიდ განსაცდელში ჩააყენა. რუსეთის ფლოტს არც ბაზა აქვს, არც თავშესაფარი, არც ისეთი ნავთსადგური, სადაც დაზიანებულ გემის შეკეთება შეიძლებოდეს. უკან კუდივით ოცი და ოცდაათი სანახშირე გემი მისდევს. ამიტომ მოსალოდნელია, რომ ტოგოს სწრაფი და მარდი კრეისერები როჟესტვენსკის მოსვენებას არ მისცემენ და ხან ერთ გემს ჩაუძირავენ და ხან მეორეს. ამ კრეისერებს შეუძლიანთ სადაც და როცა უნდათ რუსეთის ესკადრას დაეცნენ, ხელიდან გაუსხლტნენ, მოსვენება არ მისცენ და დღე და ღამ არ დააძინონ. ღამით კრეისერების ადგილს ნაღმოსნები დაიჭერენ და თავის ჩვეულებრივსა და ნაცად საქმეს შეუდგებიან. ამ საქმის შედეგი და გემო რუსეთის ფლოტმა უკვე გამოსცადა თავის ზურგზე. როჟესტვენსკის ტოგოს მაგივრად სხვა მოწინააღმდეგე რომ ჰყვანდეს, შეიძლება ვლადივოსტოკამდე მიეღწია, მაგრამ ტოგო ამის ნებას არ მისცემს. იგი ნაცადი, ნასწავლი ადმირალია და ისე იქცევა, როგორც საჭიროება მოითხოვს, და არა ისე, როგორც იქცევიან რუსები, რომელნიც კუსავით დახოხავენ.

ადვილი შესაძლებელია, რომ დიდი საზღვაო ომი არც კი მოხდეს, რადგან ტოგოს ნაღმოსნები როჟესტვენსკის გემებს ზედიზედ შეუნგრევენ გვერდებს და ამრიგად ცოტა ხანში მთელ ესკადრას დალევენ (რ.).

ინგლისური გაზეთი ,,პალ მალ გაზ.''-ი სწერს: ძლივს არ გაება როჟესტვენსკი მახეში! ტოგომ რუსეთის ესკადრას ხაფანგი დაუგო. ესკადრა ამ ხაფანგში გაება და საქმეც გათავდა: როჟესტვენსკი იქიდან ვეღარას გზით ვერ გამოვა. ტოგოს მხოლოდ ის უნდოდა, რომ რუსეთის ესკადრა იაპონიის ზღვებში ასულიყო, და აკი მიაღწია კიდეც საწადელს. ტოგომ როჟესტვენსკის ხელი ჩაავლო და ვერავითარი ძალა ვერ გააშვებინებს. (რ.).

ლონდონიდან ,,რუს''-ს დეპეშით ატყობინებენ: ჰამბურგში ცნობა მოვიდა, როჟესტვენსკიმ ოთხი მაშველი კრეისერი ზღვაში გაგზავნა და დაავალა, იაპონიაში მიმავალი, კონტრაბანდით დატვირთული გემები დაიჭირეთ და, თუ შესაძლებელი იქნება, იაპონიის ნაპირებსაც დაეცენითო. როჟესტვენსკის იმედი აქვს, რომ ამ კრეისერების დასაჭერად ადმირალი ტოგო რამდენიმე გემს გაგზავნის და შესუსტდებაო.

ინგლისური გაზეთები იუწყებოდნენ, ადმირალმა ტოგომ რამდენიმე სავაჭრო სწრაფი გემი შეაიარაღა და დაავალა, როჟესტვენსკის ესკადრას უკანიდან მოექეცით და ტრანსპორტები დაუღუპეთო. რუსებიც იძულებულნი იქნებიან ამ კრეისერების დასაჭერად რამდენიმე გემი გაგზავნონ და ესკადრაც ძალა-უნებურად შეუსუსტდებათ (ნ. დ.).

მანჯურიაში. ბრძოლის ველიდან „რუს"-ს ატყობინებენ: აღმოჩნდა, რომ კუანჩენძიდან ჩრდილოეთ-დასავლეთით 120 ვერსის მანძილზე იაპონელები რუსეთის ჯარს გვერდიდან უვლიან. იაპონელები რამდენსამე რაზმად მოდიან. თითო რაზმს წინ სამი ათასი ხუნხუზი მოუძღვის. ხუნხუზებს რამდენიმე ათასი ცხენოსანი იაპონელი და 22 ზარბაზანი მოსდევს. ქარავანს 1000 ურემი შეადგენს (რ.).

„ნ. ვრ."-ს აზრით, სანამ ზღვაზე საქმე არ გადაწყდება, მანჯურიაში სიჩუმე იქმნება. თუ როჟესტვენსკიმ გაიმარჯვა, ლინევიჩი კიდევ მოიშველიებს ჯარსა და ოიამაზე იერიშს მიიტანს. თუ რუსეთის ესკადრა ეხლაც დამარცხდა, ლინევიჩი ერთხელ კიდევ სცდის ბედსა, მარშალ ოიამას შეებმება და, თუ დამარცხდა (და რომ უეჭველად დამარცხდება, ეს ყველასთვის ცხადია), მანჯურიიდან დაიძვრება და ბაიკალამდე აღარ შეჩერდება. ამის შემდეგ რუსეთი უეჭველად უნდა შეურიგდეს იაპონიას, და თუ არ შეურიგდა, უფრო კარგი, რადგან იაპონელები სახალინსაც აიღებენ, ვლადივოსტოკსაც, მანჯურიასაც და რკინის გზასაც. წართმეულ ადგილების დანარჩუნებას რუსეთი ვეღარ ეღირსება (რ.).

ახალი ამბავი

✦ 17 აპრილს, ნაშუადღევის 12 საათიდან, ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე მატარებლები **საზაფხულო მიმოსვლის წესით ივლიან.**

✦ ხმა დადის, **გურიაში დატუსაღებულების გადასახლება** დროებით შეჩერებულიაო.

✦ კავკასიიდან გადასახლებულებმა უმაღლესს მთავრობას **სამშობლოში დაბრუნება** სთხოვეს, მაგრამ უარი მიიღეს (პრავო).

✦ ტფილისის ქალაქის სამხედრო ბეგრის საკრებულომ **უკვე შეადგინა სიები წელს სამხედრო ბეგრის მოსახდელ ყმაწვილ კაცთა.** სიებში შეტანილია სულ 622 კაცი, აქედან უპირატესობის მქონე წოდებიდან 153 კაცია. ქალაქის გამგეობამ საკრებულოს წარმოუდგინა სია იმ ყმაწვილ კაცთა, რომელნიც ტფილისში არიან დაბადებულნი და მათი ბინადრობა კი არ იციან. მათი რიცხვი 540 უდრის.

✦ ტფილისში გაფიცულმა მოსამსახურეებმა თავი მოიყარეს და სთხოვეს მოურავს, საბჭოს დარბაზი დაგვითმეთ სათათბიროთო. **მოურავმა ნებართვის ასაღებად გუბერნატორთან გაჰგზავნა.**

✦ მზარეულთა და მსახურთა გაფიცვის გამო, ტფილისის მცხოვრებნი დიდ გაჭირვებაში ჩავარდნენ. ეს სამი დღეა, კლუბებსა, სასტუმროებსა და რესტორანებში საჭმელებს ვეღარ ამზადებენ. გაფიცულნი 11 აპრილს დადიოდნენ კერძო პირების სადგომებში და სახლების მსახურთ მუშაობაზე ხელს აღებინებდნენ. ზოგიერთი მათგანი დაატუსაღეს. გაფიცულთა რიცხვი ხუთი ათასს კაცს აღემატება.

✦ ხუთშაბათს, 21 აპრილს, ტფილისის საკრებულო დარბაზში, სოფელ **ჩხარში დაზარალებულთა სასარგებლოდ** ქ-ნი ზაბელისა, ბ-ნი მირაღიანისა და ტერ-დავითიანის მონაწილეობით, სცენის მოყვარეთაგან გამართული იქმნება „საყმაწვილო დილა". წარმოდგენილი იქმნება ჰ. თუმანიანის 1 მოქ. ვოდევილი „ხოლერა". ბოლოს გაიმართება სხვადასხვა სათამაშოები. დასაწყისი დილის 12 საათზე. ფასი ბილეთებისა: 30 კ., მოზრდილთათვის 50 კ.

✦ ტფილისის **სავაჭრო სასწავლებელში ეგზამენები დასრულდა.** სწავლა გაათავა სულ 23 კაცმა: ამათში 11 სომეხია, 10 ქართველი, 1 რუსი და 1 ებრაელი.

✦ **ნამესტნიკის კანცელარიამ აცნობა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტს:** თანახმად გენერალ-ლეიტ. მალამას შუამდგომლობისა, შავის ზღვის პირად მცხოვრებ ოსმალეთის ქვეშევრდომ მეთამბაქოებს ნება მიეცათ კიდევ ერთის წლის ვადით აიღონ იჯარით თამბაქოს მოსაშენებელი მინდვრები. მათი გადასახლების საკითხი კი საბოლოოდ მეფის მოადგილე გადასწყვეტსო.

✦ **ქალაქის გამგეობის დადგენილებით**, მეშვიდე უბნის მეაგურხანეებს აივაზოვსა და სხვათ აეკრძალათ ამ უბანში ქარხნების წარმოება.

✦ ნამესტნიკი გრაფი **ვორონცოვ-დაშკოვი** პეტერბურგიდან კავკასიისკენ აღდგომის მეოთხე დღეს წამოვა.

✦ **წყნეთის სოფლის საზოგადოებამ** ტფილისის მაზრის უფროსს **წარუდგინა სოფლის ყრილობის განაჩენი,** რომელზედაც 140 კაცს უწერია ხელი. ამ განაჩენით სთხოვენ მაზრის უფროსს, დაიკეტოს სოფელში არსებული სასმლის ორი დუქანი და ერთიც შარა-გზაზე მყოფი, რომლებიც დიდათა რყვნიან და აზარალებენ ჩვენ სოფელსო.

✦ ქალაქის გამგეობამ მოსამსახურეთა წარმომადგენლების თანადასწრებით **ასე გაინაწილა ის 15 ათასი მანათი,** რომელიც საბჭომ სააღდგომო საჩუქრად გადასდო: იმათ, ვინც თვეში 35 მანეთამდე იღებენ, 10,500 მ., ვინც რვა თუმნამდე იღებს—52$^0/_0$, ხოლო ვინც რვა თუმანზე მეტს—31$^0/_0$. ამ განაწილებაზე ქალაქის სკოლების მასწავლებელ-ქალებმა პროტესტი განაცხადეს.

✦ ამას წინად ჩვენ ვწერდით, რომ ბაქოში დაატუსაღეს ყველასაგან ცნობილი სოლომონ აშორდიაო. ეხლა, როგორც „ბაკ. იზვ." გადმოგვცემს, **აშორდია ციხიდან გაქცეულა.** დაჭერის დროს აშორდიას უპოვნეს საზღვარგარეთის პასპორტი ალექსი ანანიაშვილის სახელზე. ციხის უფროსი ამბობს: 6 აპრილს, საღამოს 6 საათზე, კანცელარიაში შევედი და მაგიდაზე ვნახე ჩემს სახელზე მოსული დაბეჭდილი საპოლიციო ქაღალდი, რომელზედაც ეწერა: „საჩქაროდ". ქაღალდი გავხსენი და წავიკითხე ბრძანება პოლიცმეისტერის თანაშემწის ბ-ნ

ფელეტონი

მსხვერპლი

მსხვერპლი მსხვერპლად მაშინ ითქმის,
თუ ნაყოფი მოიტანა.

I

გათენდა და მზე არსად სჩანს,
არ აბრწყინებს ცას მის სხივი,
ხმელეთს ნისლი გადაჰკვრია
და სტეხს ქარი, ეს გულ-ცივი.
ზღვა ჰქუხსა და ზღვა როყინებს,
ქეჩოსა ჰყრის და პირს აღებს,
გულზე ქაფი ბრაზად ადგას,
თავს ევლება ტალღა ტალღებს.
ზღვის ნაპირას კორდი სდგია,
კორდზე მოსჩანს ხალხის გროვა,
მუშათ გროვა დატანჯული,
გულმწუხარე, ვით თვით გლოვა.
მწუხარება თავზე აწევსთ,
რაღაც სტანჯავს თითოს მათგანს:
საგანი აქვთ და ყველას სურს,
რომ ემსხვერპლოს ამ დიდ საგანს.
ის, რომ შრომით დღეებს ლევენ,
შუბლს ოფლი ვერ შეუშრიათ,
მათის შრომით სხვა მდიდრდება,
თვით კი შიათ, მუდამ შიათ.
შია დედას, ქოხში მშრომელს,
გაუშრია ძუძუ შიმშილს,
კნავის შვილი უსუსური
და ვერ შველის დედა თვის შვილს.
უძლურ მოხუცს პური უნდა,
მაგრამ არ აქვს ლუკმა-პური
და გულიდამ ხშირად გჯება
შვილზე წყევა-საყვედური:
მას ჰგონია, მისი შვილი
იქ, მუშებთან, ქეიფშია,
ის კი, ლონე მილებული,
მარტო წევს და მუდამ შია...
ვინც არ შრომობს, თვით სამოთხის
კარი არის მისთვის ღია,
და ამ მუშაკს, ოფლში მცურავს,
კუპიც კი ვერ გაუძლია.
და ამაზე ზღვის პირს კორდზე
მუშაკები თათბირობენ.
ზედ ატყვია ყველას სახეს,
რომ ძნელს რასმე აპირობენ.

II

მუშათ შორის სდგას მაღლობზე
მოღვრემილი ვიღაც ვაჟი,
სიტყვას ამბობს რწმენით სავსეს,
ცეცხლებრ ჰკვესავს, ვით ტალ-კაჟი.
ამბობს: ძმებო! ჩვენი საქმე
წმინდაა, თუ ვუგდებთ ყურსო!
რას გვერჩიან? რას გვართმევენ
ოფლით ნაშოვნ ლუკმა-პურსო?!
ნუ თუ ჩვენცა კაცნი არ ვართ?
არ გვაქვს აზრი, არც გრძნობაო?
რათ არვის სურს ჩვენი გულის
მწუხარების გაცნობაო?
პირუტყვს ჩვენზე მაღლა სთვლიან;
რაღა დაგვრჩა ჩვენ კაცისო?
რაღათ გვბორკავს ჩვენ კანონი
ან ამ ქვეყნის და ან ცისო?
ჩვენი კვნესა ზეცას სწვდება,
ოფლი ქვეშ ზღვად გადიქცაო,
მაგრამ ჩვენთვის ორნივ ყრუა—
ქვეშ მიწა და ზემოდ ცაო!
ყველა ჩვენ გვთვლის დაბალ ლობედ,
ქედს ამაყად გვაზიანო.
უწმინდურის, ბინძურ ფეხით
ჩვენს გულ-მკერდზე დადიანო.
— „შენ მუშა ხარ"—ჩაგვძახიან—
შენ გლეხი ხარ, შენ ყრუ ხარო!
წილად გერგო მწუხარება
და ღირსი ხარ, თუ სწუხხარო!
მიწა მდიდარს მიათვისეს,
ჩვენ უმიწოდ დაგვაგდესო,—
და მწარ შრომით შორს ქარხნებში
ჩვენ ლუკმა-პურს ვეძებთ დღესო.
აქაც ნაშრომს გვიკავებენ,
აქაც გვჭამენ და გვთლიანო;
კაცის სახით დავალთ, თორემ
პირუტყვებათ კი გვთვლიანო!
კმარა ტანჯვის ასე თმენა!
თავს გადმოსდის საწყაულსო,
კმარა!... ჩვენვე ჩვენი ძალა
დაგვანახვებს სასწაულსო!
ვსთხოვოთ მტარვალს: მოგვცეს ჩვენი,
ნუ გვჭამს ცოცხლივ, ნუ გვღუპავსო!
თუ არ მოგვცეს, განვსდგეთ ერთხმად,
თვით ვუშველოთ თავის თავსო!
დავანახვოთ ჩვენი ღონეც:
მუშობა შევსწყვიტოთო,
დავსცეთ მათი მრეწველობა,
ლუკმა-პური გავურწყოთო"!
სდუმდა ვაჟი... დაღვრემილად
დაიშალა მუშათ გროვა.
სიწყნარე... ყველას სახე
მწუხარეა, ვით თვით გლოვა,
მაგრამ არვის არ ეტყობა
არც ეჭვი და აღარც შიში:
თითქო ყველამ ამ სოფელთან
გაათავა ანგარიში.
მზად არიან თავი დასდვან,
აღარ სიც-უძთ დარჩნენ მონად;
სურთ, რომ გახდნენ მომავალთა
გმირთა შორის მოსაგონად.

III

საღამოა... ღამის ძალმა,
ფრთა გაშალა ნელა-ნელა,
ზედ გაეკრა დედა-მიწას
და ცაც ზემოდ ჩააბნელა.
არრა იძვრის: არც ღრუბელი,
ცაზე შავად განართხული,
და ქვეყანაც თითქო ცდილობს—
არ დაბეროს ძილში სული.
ზღვაც მყუდროობს... მიუსწყენია
ქარიშხალთან მუდამ ომი
და წყნარ ძილში გადუშლია
თვისი გული, თვალ-უწდომი.
იქ, მეთევზის კარავიდან
სანთლის შუქი იყურება,
მაგრამ ისიც მიილია
და ბნელაში წყნარად ქრება.
სძინავს ყველას... მხოლოდ ფხიზლობს
ვაჟი, მუშათ მეთაური,
ქარხნის კედელს მიჰყრდნობია,
ადნობს ფიქრი უცნაური.
ელის ვისმე... ეს ლოდინი
მას წამებად გადაექცა.
აჩრდილს ხედავს, თავს ვერ ჰკავობს,
მყის მუხლები ჩაეკეცა;
და ხმა ესმის გულ-დამდნობი,
ხმა საამო, ვით თვით ვნება;
ოჰ, იმის გულს ეს ტბილი ხმა
რამდენს რასმე ეუბნება!
ეს ხმა არის სიყვარულის,
ქვეყნის ძალა, ციურთ გრძნობა:
მით კაცს ძალუძს ცა და ქვეყნის
საიდუმლოს გამოცნობა!
ეს ხმა არის თვით მუსიკა,
თვით ცხოვრების საგანია:
უამისოდ ჩვენი გული
ულმობელი საკანია!
და მას ესმის ეს ტკბილი ხმა,
ესმის და ქალს ეგებება,
ამბავს ელის საიმედოს
და ლოდინით გული დნება!
—„ლევან!"—ამბობს წყნარად ქალი—
„ვერ დავძლიე მამის გული.
არ თანხმდება... თქვენს განთქმაზეც
მას ალღო აქვს აღებული.
ამბობს მტკიცედ: ჯინზე არ ვიქმ,
არ დაეჰყვები მათ ნებასო,
ძალას ვიხმარ... სათავეშივ
მოვჰკლავ მე მათ ოცნებასო.
ხვალ დილითვე მათ განთქმაზე
წესის დამცველს მე ვამცნობო
და, ვინც სთავობსთ, შავ-საკანში
სანთელივით დავადნობო!"
და დასდუმდა ქალი... კედელს
ვით ქანდაკი მიებჯინა
და შესცქეროს, ვით უგონო,
ვაჟს, მწარედ მდგომს იმის წინა.
სიწყნარეა... ერთმანეთის
გულში ნაღველს ორნივ ხედავს,
მაგრამ მწარე ფიქრის შეშლას
ერთს მეორე ვერ უბედავს.
ბოლოს ვაჟი ამბობს: „კმარა
რაც გაწამე, ისიც კიო!
ვინ მექარხნის ქალიშვილი,
ვინ მე—მუშა, გლახაკიო!
მდიდარსა და ღარიბ შუა
კავშირია გამწყდარიო:
ერთს მეორე ვერ შეიწყობს
ვერც ცოცხალი, ვერც მკვდარიო.
ვერ შევბორკავ ჩემს ზვიად გულს!
მოძმეთ ცრემლი გულს მიკლავსო;
მათ ტანჯვისთვის მამა შენი
სამაგიეროს მიიწყავსო;
და შენ დაჰგმობ ჩემს სიყვარულს,
მაგრამ რა ვჰქნა?! მშვიდობითო!
უნდა ერთად ვიმოქმედოთ,
ვინც საერთო ცრემლსა ვღვრითო!
მიდის ვაჟი... ქანდაკების
ფერი ადევს ქალწულს მწუხარს,
თითქო აზრი გაუქვრია
მასში სევდას, ზღვად ნადუღარს.
მკვდრის ძეგლსა ჰგავს ბნელ ღამეში,
დაუქდია გულზე ხელი
და ასე მდგომს თავს ადგება
განთიადზე დღის ნათელი.

IV

რიჟრაჟია... ქარხნის ახლოს
დინჯად სდგია მუშათ ჯარი;
ყველას სახეს აღბეჭდვია
უცნაური გლოვის ზარი.
თითქოს გრძნობენ ავს რაღასაც,
განწირულან ბედის წერით,
მაგრამ შიში არ ეტყობათ:
სდგანან მხნედ და თავდაჭერით.
გვერდით უდგათ წინამძღვარი,
სიტყვა-მკვეთრი ლევან ტკბილი,
მათი ბედის თანამგზავრი,
ხალხის მოძმე, ხალხის შვილი.
ირგვლივ სუფევს მდუმარება—
გულშემზარი, როგორც წყევა:
ბუზმაც სადმე გაიფრინოს,
ამ დუმილში გაირკვევა.
ამ დროს გაჩნდა სიდღანმც ჯარი,
დარაზმული თოფით, ხმლითა,
წინ წამოდგა ჯარის თავი,
ხალხს შეჰყვირა მკაცრის ხმითა:
„თქვენ, ლეკვებო, ძაღლის ლეკვნო!
რას გამდგარხართ, რა გინდათო?!
რათ არ ხედავთ ჩვენს ძალ-ღონეს,
რათ გვეცქერით ეგრე ბრმათო?!
როგორ ბედავთ თქვენ განდგომას,
არ მუშაობთ და ყბედობთო!
თავისუფალ რაღაც აზრით
თქვენს ნებაზე მოქმედობთო!
გასწით ეხლავ ქარხანაში,
დაადექით თქვენს საქმესო,
თორემ გაგჟლეტთ ერთიანად,
დაგაყენებთ მყის შავ დღესო"!...
—„არა!"—ერთხმად ამბობს ხალხი—
მუშაობა არ გვსურსაო!
მუქარით და ლანძღვა-წყრომით
მუდამ გვხდიდნენ ჩვენ სულსაო.
მუდამ სიკვდილს, ერთხელ მოვკვდეთ
ჩვენთვის დიდად სჯობიაო;
ხომ ხედავ, შიმშილი გვკლავს,
სახე ჩამოგვდნობიაო!
ჩვენ გიდგიეართ საძირკველად,
ჩვენგანა ხართ ძლიერიო:
ჩვენის შრომით თქვენ მდიდრდებით,
ჩვენ კი ვრჩებით მშიერიო!
თქვენთან ბრძოლა ჩვენ არა გვსურს,
ჩვენ ჩვენთვის ვართ, თქვენ თქვენთვისო,
მგმობელნი ვართ ძალადობის,
ძმებთან ბრძოლის, სისხლის ღვრისო!
და თუ ჩვენს სისხლს შენ შესმევ
შენგან გაქნილს მაგ ჩვენ ძმებსო,
ფუი, მაგ შენს ვაჟ-კაცობას,
შენს ულვაშებს, შენს სიყრმესო!"
უცბად შეხტა ჯარის თავი:
„რას მიბედავ ამასაო!?
წამლად შევსვამთ თქვენს წყეულ სისხლს,
შვილს შევაქმევ მამასაო!"
ჯარს შესძახა: „სტყორცნეთ მაგათ!
აასრულეთ თქვენი წესი!"
და მოისმა ხმა საზარი,
ხმა საგლოვო, ხმა საკვნესი!...
მწუხარება მეფედ იქცა:
ამყეფარდა ზარბაზანი,
ცოდვა ქვეყნად მიმოჰფინა,
მას თოფებმაც მისცეს ბანი.
კვამლი გასდგა, სქელი კვამლი,
წამლის სუნი კაცს ახჩობდა;
მოძმის კვლით და მოძმის სპობით
ბრიყვი ჯარი ამაყობდა.
გასწყდნენ სრულად მუშაკები,
მათი კვამლი ველს აგია:
საბრძოლველად თავ-დაცვისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრეჩნიკინისა, რომლითაც მე დაუყოვნებლივ უნდა გამენთავისუფლებინა ტუსაღი ალექსი ანანიაშვილი. მეც, რასაკვირველია, მაშინათვე გავანთავისუფლე. ციხიდან რომ გადიოდა, აშორდიამ ზრდილობიანად მთხოვა, მოწმობა მომეცით, რამდენი დღე ვიჯექი უდანაშაულოდ ციხეში, რომ შემეძლოს ვუჩივლო იმ პირებს, რომელთაც მე დამატუსაღესო. ვინ მიიტანა ციხეში ეს ქაღალდი,—ჯერაც არ იციან. აშორდიას პოლიცია ბეჯითად დაეძებს...

✦ **უსახელო საზოგადოების გამგეობამ** სამშაბათს, 12 აპრილს, **გამოუცხადა თავის მოსამსახურეთ**, რომ თქვენს მოთხოვნილებებზე დეპეშით უკვე მივიღეთ პასუხი ბელგიიდანაო. ჩვენი მთავარ-გამგეობა გითმობთ შემდეგს: 1. პირველ აპრილიდან ჩვენს სამსახურში მყოფ კონდუქტორებს და ვატმანებს გინიშნავთ თითო მანათს ყოველ-დღიურად. კონტროლიორებსა და სადგურის უფროსებს—მანათ-ნახევარს. „სტოროჟები“, რომელნიც დღიურად იღებდნენ სამ აბაზს—თოთხმეტ შაურს მიიღებენ, ხოლო ვინც თხუთმეტ შაურს იღებდა, იმათ ოთხი აბაზი მიეცემათ; 2. გინიშნავთ 8 საათის მუშაობას, თუ ქალაქის გამგეობა წინააღმდეგი არ იქნება. 3. ექიმისა და წამლით მხოლოდ მოსამსახურეები ისარგებლებენ და არა მათი ოჯახობა; 4. ფორმის ტანთსაცმელის შესაძენად სადგურის უფროსებს, კონტროლიორებს, ვატმანებსა და კონდუქტორებს ყოველ-თვიურად მანათ-ნახევარი მიეცემათ 5. თვეში ორჯელ მუქთი აბანო გექნებათ. 6. სამკითხველოს დაგიარსებთ მუქთს. 7. უსაბუთოდ დათხოვნილი არავინ იქნება. ყველა ამ პუნქტებს შეგისრულებთ და სავალდებულო იქნება ჩვენთვის, თუ გაფიცვებს აღარ მოახდენთო. გარდა ამისა, გამგეობამ გამოუცხადა, თუ ქალაქი თავის მხრივ დათანხმდა და გადასაჯდომ ბილეთებზე ტარიფები მოუმატა, ერთი კაპეიკით მაინც, მაშინ ბევრი მუხლი თქვენის მოთხოვნილებისა შეწყნარებულ იქნებაო. ეს განცხადება, ქაღალდზე აღნუსხული, წაკითხვის შემდეგ მოსამსახურეებმა დახიეს მუშაობაზე უარი განაცხადეს და გაიფიცნენ. გუშინ დილიდანვე ელექტრონის ტრამვაის ყოველივე მოძრაობა შესწყდა. დირექტორმა ეს ამბავი დეპეშით აცნობა მთავარ-გამგეობას, რომლისაგანაც პასუხად მიიღო, შვიდი დღის უკან ჩვენი დელეგატი ჩამოვაო.

✦ მივიღეთ ახალი წიგნი **„ჭლექის წინააღმდეგ ბრძოლა“**, ექიმ ვასილ წერეთლისა, გამომცემელ ილია ფუფხაძის წინასიტყვაობით. გამოცემულია ქ. ქუთაისში.

✦ როგორც პირაქეთ ხევსურეთიდან გვატყობინებენ ხევსურებს საერობო დარაჯთა რაზმთან შეტაკება ჰქონიათ რამდენიმე ხევსური დაიჭრა. 65 სტრაჟნიკი უკუქცეულ იქმნა რამდენიმე მათგანი დაჭრილი და მოკლულია.

ინტელიგენციის მოვალეობა

(ვ. მიაკოტინის რეფერატიდან)

18 თებერვლის რესკრიპტი გამოიცა, მაგრამ არა სჩანს, რომ ამ რესკრიპტის სისრულეში მოყვანას ცდილობდეს ვინმე. მხოლოდ შინაგან საქმეთა მინისტრმა ქალაქებისა და ერობების წარმომადგენლებს უთხრა,—რესკრიპტში არაფერი არა სწერია გარკვეულად და ამიტომ არ ვიცი, ავარჩევინო ხალხს წარმომადგენლები, თუ მე თვითონ მოვიწვიო სანდო პირები. 18 მარტს შეიტყო ყველამ, რომ საქმე გადადებული შეიქმნა... ამიტომ ცხადია, რომ თვით იმ რესკრიპტს არა ჰქონია მიზნად რაიმე ცვლილების შემოღება სახელმწიფოში.

მაგრამ რუსეთში ახლა ახალი ძალებიც ამოჩნდა. რუსეთის საზოგადოებამ ამ უკანასკნელ ხანებში თუ მიიღო ლაპარაკის ცოტაოდენი თავისუფლება,—მხოლოდ იმიტომ რომ ეს ძალები საშიში შეიქმნა; რომ ამ ძალებმა პირდაპირი ბრძოლა დაიწყეს სხვადასხვა უფლების მოსაპოვებლად.

რა გზას უნდა დაადგეს საზოგადოება იმისთვის, რომ მართვა-გამგეობის საქმე ისევე კალაპოტში ჩადგეს და ხალხიც დამშვიდდეს.

ზოგიერთს ჰგონია, რომ ყველამ უნდა შეუწყოს ხელი არსებულ ბიუროკრატიას და დაეხმაროს წესიერების აღდგენის საქმეში.

ასეთი აზრი შემცდარი გვგონია.

ხალხი გამოფხიზლდა, ხალხი შეგნებულად მოითხოვს სხვადასხვა უფლებას; პიროვნების ხელუხლებლობა სწორედ ხალხისთვის, მუშისთვის, გლეხობისათვის არის უფრო საჭირო და ამ ერთ უფლებასთან არის დაკავშირებული ხალხის სხვადასხვა მოთხოვნაც.

ეკონომიური ბრძოლა საპოლიტიკო უფლებების მოუპოვებლად ფუჭია. მუშა-ხალხმაც შეიგნო, რომ შრომის განსათავისუფლებლად არის საჭირო ბრძოლა: სამრეწველო კაპიტალთან ცალკე და ცალკე კიდევ ამ კაპიტალის მფარველ ბიუროკრატიასთანაც.

ყველამ არ იცის, რა ხდება სოფელში. გაზეთებში აქა-იქ იბეჭდებოდა ცნობები იმის შესახებ, რომ სოფლად რაღაც გაუგებარი აღელვებაა, რომ ამ აღელვებას ხშირად მოჰყვება სისხლის ღვრა, ცეცხლის წაკიდება და სხვადასხვანაირი ძალმომრეობა.

თანდათან გაიგო ყველამ, რომ ბატონ-ყმობის გადავარდნის დროს გლეხობა არ შეიქმნა საქმით ნამდვილი განთავისუფლებული, რომ მას მხოლოდ ცალიერი უფლება მისცეს და არა ნამდვილი თავისუფლება.

აღელვებამ თანდათან იმატა, და ბოლოს მოედო მთელ რუსეთს....

ახლა აღარ შეიძლება ამ საქმის გადადება სხვადასხვა ზომებით, არ შეიძლება წვრილმან რეფორმებით დამშვიდდეს სოფელი.

ახლა შეიქმნა საჭირო ძირიანად შეიცვალოს უწინდელი ცხოვრება.

რუსეთის ინტელიგენციამაც ახლავე უნდა გაარკვიოს თავის მიზანი: ან უნდა შეუწყოს ხელი იმას, რომ უფლება ერთ ჯგუფის ხელიდან გადავიდეს მეორე ჯგუფის ხელში, ან უნდა მიემხროს მებრძოლ ელემენტებს, არაფერში არ დაუთმოს ბიუროკრატიას და მოითხოვოს დამფუძნებელ კრების მოწვევა, პირდაპირ, თანასწორ, საყოველთაო და ფარულ კენჭის ყრაზე დამყარებული.

მაგრამ ამ არჩევნებსაც კიდევ სხვა გარანტიები სჭირია არსებულ წყობილების შეუცვლელად არ შეიძლება ხალხმა წესიერად აირჩიოს წარმომადგენლები.

როგორ უნდა მოხდეს არჩევნები, ყოველი ამომრჩეველი თუ იმის შიშში იქმნა, რომ პოლიცია არა-სასურველ კანდიდატის არჩევისათვის პოლიციაში წაათრევს ამომრჩეველს და იქიდან ან გალახული დაბრუნდება და ან სულაც არ დაბრუნდება.

როგორ უნდა მოხდეს არჩევნები, პოლიციამა და ჟანდარმებმა თუ არ მოიშალეს ღამ-ღამეობით სახლების გაჩხრეკა და სიარული, ადმინისტრაციას თუ შეეძლება არჩეულ პირის გადასახლება ციმბირში.

ეს ხომ თვალთმაქცობა იქმნება, ბავშვების თამაში!

საჭიროა ამისთვის—ყველასა ჰქონდეს მინიჭებული სიტყვის, პრესსის, კრების, და შეკავშირების თავისუფლება, პიროვნებისა და კერძო სადგომის ხელუხლებლობა.

დამფუძნებელმა კრებამ უნდა გამოარკვიოს რუსეთის არსებობის პირობები შემდეგისათვის.

პირველი და უმთავრესი საკითხი, რომელიც ექმნება გადასაწყვეტი ამ კრებას—განაპირა ადგილების საქმეა.

ყველა, ვინც ლაპარაკობდა დღემდის მომავალი წესწყობის შესახებ, განაპირა ადგილებს ან უყურადღებოდ სტოვებდა ან უარეს პირობებში აყენებდა, ვიდრე შიდა, რუსეთში მცხოვრებლებს.

ივიწყებდნენ, რომ შეუძლებელია რუსეთში დამყარდეს კანონიერება, განაპირა ადგილებში თუ არ მოისპო ძალმომრეობა.

განაპირა ადგილების მდგომარეობა ამჟამად წარმოუდგენელია, აუტანელი. ამ მდგომარეობის მოსასპობლად არის საჭირო, რომ ყველა ერს ჰქონდეს უფლება თვითონ, თავის ნებით მოაწყოს თავისი საქმე ისე, როგორც თვითონვე ესიამოვნება.

მხოლოდ დამფუძნებელ კრებაში, რასაკვირველია, ყველა ეროვნებას ეყოლება თავისი წარმომადგენელი.

მომავალს კრებაში, ალბად, მშრომელ ხალხის წარმომადგენლების ხელში იქნება უმეტესობა. ამიტომ შეგვიძლია წინდაწინვე ვიფიქროთ, რომ სხვადასხვა ეროვნების ეროვნულ მისწრაფების მიღწევას ხელსაც შეუწყობს საერო კრება.

მშრომელი ხალხის წარმომადგენელნი ეროვნების მდევნელად არასოდეს არ გამოსულან.

ამიტომ დამფუძნებელი კრება, ალბად, ამ საქმესაც მოაწყობს სამართლიანად.

დამფუძნებელმა კრებამ უნდა გამოარკვიოს რუსეთის მომავალი კონსტიტუცია და სოციალ კითხვების გადასაწყვეტად საჭირო გზასაც მონახავს უთუოდ.

მაგრამ ამისთვის საჭიროა ერთი ნაბიჯი და ეს ნაბიჯი უთუოდ უნდა გადასდგას რუსეთმა,—დამფუძნებელ კრებას უნდა მიენიჭოს საკანონმდებლო უფლება. მხოლოდ მაშინ შეეძლება დამფუძნებელ კრებას, მიიხვეჭოს საჭირო ძალა იმისთვის, რომ შესაფერად მოაწყოს რუსეთის ცხოვრება და მოსპოს ყოველი წინააღმდეგობა.

სადღეისო

სამი ჯარის კაცი.

ქალაქ ტ—ში ერთმანეთს შეხვდა სამი დიდებული ხელმწიფე: რუსეთის მეფე, გერმანიის მეფე და საფრანგეთის ნაპოლეონი.

დიდი ხნის ომის შემდეგ ზავზე ჰქონდათ ლაპარაკი.

გუშინდელი მტრები დღეს მეგობრულად ეპაასებოდნენ ერთმანეთს. ერთ მშვენიერ სახლის მესამე სართულში ისხდნენ და საუზმობდნენ. შორს მოსჩანდა ფანჯარაში ტყიანი მთები, მზე მაღლიდან უხვად ჰფენდა სინათლეს მთელ არემარეს.

ჯარების ღირსებაზედაც ჩამოვარდა ლაპარაკი...

სამივე მეფე, რასაკვირველია, თავის ჯარს აქებდა, ცდილობდა თავისიანების ღირსება ჩამოეთვალა.

— ჩემი ჯარის კაცი ერთგულია, ბრძანების აღმასრულებელი,—ამბობდა რუსის მეფე.

—ჩემ ჯარის კაცს მამასავით ვუყვარვარ,—მიუგო თავმომწონედ ნაპოლეონმა...

— ჩემი ჯარის კაცი სამშობლოს ერთგულია,—სთქვა ამაყად გერმანიის მეფემაც.

სიტყვით ვერ დაარწმუნეს ერმანეთი და გადასწყვიტეს,—გამოეცადათ ჯარის კაცები.

—

რუსის მეფემ გასცა ბრძანება, რომ ოთახში შემოსულიყო მის მხლებელ გვარდიის საუკეთესო ჯარის კაცი.

იგიც შემოვიდა ოთახში. მაღალი, ლამაზად მოყვანილი, ტან-ჩასხმული, მხნედ შეჰყურებდა ხელმწიფეს...

ხელი ქუდთან ჰქონდა პატივისცემის ნიშნად, თვალს არ აშორებდა ხელმწიფეს.

ხელმწიფემაც უბრძანა:

— მხარ-მარჯვნივ! ფანჯარისაკენ და ქუჩაში! მარშ!

ერთი წარბიც არ შეხრია ჯარის კაცს, მხნედ დაიძახა: მესმისო,—მოტრიალდა და ერთი წუთის შემდეგ ფანჯრიდან გადავარდნილი ეგდო დამტვრეული ქუჩაში...

—

ამას შემდეგ მოიწვია თავისი ჯარის კაცი ნაპოლეონმა.

ესეც მხნე, კოპწიად ჩაცმული, მოხდენილი,—შეყვარებულივით უყურებდა თავის დიდებულ სარდალს, თითქო უნდოდა მის გულის სიღრმიდან ამოეკითხა ყოველი დამალული სურვილი.

—გადახტი ფანჯარაში!—უბრძანა ნაპოლეონმა,—დამიმტკიცე სიყვარული და ერთგულებაო.

ჯარის კაცი ხმა-ამოუღებლად წავიდა ფანჯარისაკენ ხელმწიფის ბრძანების შესასრულებლად.

მხნედ და თამამად მიდიოდა...

მაგრამ ფანჯარასთან მისული შეჩერდა უცებ,—მიიხედა ნაპოლეონისაკენ...

თვალებში ცრემლები მოსდიოდა და აკანკალებულის ხმით შეევედრა ნაპოლეონს:

„შინ ცოლშვილი დამრჩა,—ჩემს მეტი არავინ არა ჰყავთ მარჩენელი და პატრონი“.

— ნუ გეშინია, შენ ცოლშვილს მე ვუპატრონებ,—მიუგო ნაპოლეონმა.

ჯარის კაცმა მადლობის ნიშნად კიდევ ერთხელ გადახედა თავის საყვარელ სარდალს.

ყოველთვის მის ბრძანების აღმასრულებელი იყო და იცოდა, რომ ნაპოლეონს არ უყვარდა დაპირებულის აუსრულებლად დატოვება.

პირჯვარი გადისახა, მივიდა ფანჯარასთან და მხიარულად, კმაყოფილი იმით, რომ მისი ცოლშვილი უპატრონოდ აღარ დარჩებოდა, გადავარდა ქუჩაში და იქ, რასაკვირველია, დაიმტვრა.

მიდგა ჯერი გერმანელზე.

გერმანიის მეფე შებრალებით უყურებდა თავის ჯარის კაცს, რომელიც გამოქანდაკებულივით იყო ატუზული კარებში.

მაღალი, უზარმაზარი გერმანელი ჯარის კაცი ისე გაქვავებულივით იდგა, რომ ადამიანს ეგონებოდა,—მის თავში ერთი აზრიც არ ტრიალებს, მის გულში ერთი სურვილიც არ არისო.

მანქანასავით სხვისი ბრძანების აღმასრულებელი, სხვის ხელში უსულო იარაღი—გერმანელი ჯარის კაცი მეფის ბრძანებას ელოდა.

მეფემ უბრძანა,—აქ უნდა გამოვცადოთ ჯარის კაცთა სიავკარგე და ამიტომ უნდა გადახტე ფანჯრიდანო!

ჯარის კაცი ისევ იქ იდგა:

— საჭიროა სამშობლოსთვის, ხალხისთვის ჩემი გადავარდნა?.—ჰკითხა მან მეფეს.

— „არა, ხალხისთვის არა, ხალხი აქ არაფერ შუაშია, მიუგო გერმანიის მეფემ,—აქ ერთმანეთს დავენაძლევეთ, უნდა გამოვცადოთ, რომელი ჯარის კაცი სჯობია,—რუსი, ფრანგი, თუ გერმანელი.

— მე სამშობლოს სამსახურში ვარ და, მისთვის თუ არ არის საჭირო ჩემი სიკვდილი, ვერ წავალ!—მკაფიოდ და წარბ-შეუხრელად მიუგო ჯარის კაცმა.

არ გადახტა ქუჩაში...

ამბობენ, სამივე მეფე თავის ჯარის კაცის კმაყოფილი დარჩაო.

ამბობენ აგრედვე, რომ გერმანიის მეფემ დასჯის მაგივრად დაასაჩუქრა და დააწინაურა თავისი ურჩი ჯარის კაცი, რომელმაც ყველაზე უფრო მაღლა დააყენა ხალხის სარგებლობა, ხალხის სამსახური და ბრძანების მიღების დროს იმის განსჯაში შევიდა, თუ რამდენად საჭიროა ეს ბრძანება ხალხისთვის.

შემდეგაც ხშირად ულაპარაკნია გერმანიის მეფეს,—ამნაირი ჯარის კაცები მჭირიაო, და ამას უნდა მიჰბაძოს ყველა ჯარის კაცმაო.

პრესსა

გაზეთები აქა-იქ კიდევ ლაპარაკობენ მომავალის საერო კრების შესახებ და არკვევენ, თუ როგორ უნდა იყოს მოწყობილი ხალხის წარმომადგენელთა არჩევა; მაგრამ ახლა ეს ლაპარაკი აღარ არის ისეთსავე გატაცებით სავსე, როგორც ყოფილა წინად. მოღლილობაა თუ მომზადება მომავალ ბრძოლისთვის? მოსკოვის გუბერნატორმა გასცა ბრძანება, რომ საერობო წარმომადგენელთა კრება აკრძალულია მოსკოვში, რომ კერძოდ მოლაპარაკების ნებასაც არ მისცემს რუსეთის სხვადასხვა ერობათა წარმომადგენლებს.

სწორედ ამნაირ დროს სასიამოვნოა გაიგონოს ადამიანმა გულწრფელი სიტყვა. გაზ. „პრივოლჟსკი კრაიში“ ვკითხულობთ:

> „საკვირველ პროექტებს სთხზავენ ხალხის წარმომადგენლობის შესახებ,—არსად მთელ ევროპაში არ შეგვხვდებათ ასეთი რამე.
>
> დომხალივით არეულია შიგ ყველაფერი! აგერ წარმომადგენელთათვის ჯამაგირები,—ეს ხომ დასავლეთ ევროპაშიაც სანატრელია!
>
> აგერ ცენზი საარჩევნო საქმეში, რის გამოც პროლეტარიატს ყოველგვარი მონაწილეობა ეკარგება საერო კრებაში.
>
> აგერ პირდაპირი კენჭის ყრის მოსპობა.
>
> აგერ ზემო და ქვემო პალატა!
>
> აგერ დეპუტატების ხელუხლებლობა, ფარული კენჭის ყრა...
>
> მაგრამ ამასთან ერთად წარმომადგენლებს ართმევენ უფლებას დაამტკიცონ ხარჯთ-აღრიცხვა და თვალ-ყური ადევნონ ადმინისტრაციას.
>
> ამასთან ერთად გლეხებს თითქმის უსპობენ საარჩევნო უფლებას და ქალაქებშიაც თავისებურად აპირობენ არჩევნის მოწყობას!
>
> სათვალთმაქცო კონსტიტუცია,—სახელი, უბრალო უშინაარსო სახელი... ანიჭებენ ხალხს წარმომადგენლობას და წარმომადგენელთათვის კი არავითარ უფლების მინიჭება არ უნდათ.

შეგროვდებიან ხალხის წარმომადგენლები და... ილაპარაკებენ. ეს იქნება კონსტიტუცია! საქმე კი ისევე ბიუროკრატიას შერჩება.

რუსეთი

ამ ერთი კვირის წინად მოსკოვში **გაასამართლეს დიდ მთავარ სერგეი ალექსანდრეს ძის მკვლელი, ივანე კოლიაევი.** მოწვეული იყო 12 მოწმე. ბრალსა სდებდა სენატორი შჩეგლოვიტოვი. კოლიაევი უნდა დაეცვათ ნაფიც ვექილებს ტესლენკოს, მანდელშტამსა და ჟდანოვს, მაგრამ, რადგან მოსალოდნელი იყო, რომ ვექილები კოლიაევის დაცვაზე უარს იტყოდნენ, ამიტომ სასამართლომ კოლიაევს წინდაწინ თვითონვე დაუნიშნა ორი ვექილი. კოლიაევმა თავის დამცველებს ფიცი ჩამოართვა,—სასამართლოს ნურც ჩემს შებრალებასა და ნურც სასჯელის შემცირებას სთხოვთო. იგივე სთხოვა თავის დედასა და დასაც. სასამართლომ რაღაც მოსაზრებით ვექილს ტესლენკოს კოლიაევის დაცვის ნება არ მისცა. ამის გამო ჟდანოვმა და მანდელშტამმაც დაცვაზე უარი განაცხადეს. სასამართლოს დარბაზში მხოლოდ კოლიაევის დედა და დიდის მთავრის მახლობლები შეუშვეს. კოლიაევმა სასამართლოს დადგენილება (ჩამოხრჩობა) დამშვიდებით მოისმინა და განაცხადა, სასამართლოს დადგენილებით კმაყოფილი ვარ, მხოლოდ გთხოვთ, დღით და საჯაროდ ჩამომახრჩეთ, რომ ყველამ დაინახოს ჩემი ჩამოხრჩობაო. აქ კოლიაევის დედამ ქვითინი დაიწყო, მანამდის კი წყნარად იყო. ვექილმა ჟდანოვმა კოლიაევს ჰკითხა, სასამართლომ ზოგიერთ ფორმალურ მხარეს გვერდი აუქცია და ნება გაქვთ სასამართლოს დადგენილება განასაჩივროთო. კოლიაევმა მიუგო: „არაფერიც არ მინდა, არც კასაცია, არც შებრალება და არც პატიება“. საქმე საღამოს 5 საათზე გაათავეს, კოლიაევი კი სასამართლოდან ღამე წაიყვანეს (ბ. ვ.).

✦ „ბერლინერ ტაგებლატ“-ის სიტყვით, მთავრობამ გორკის შეატყობინა, საზღვარ-გარედ გადაიკარგეო, მაგრამ **გორკიმ უარი განაცხადა** და თავის საქმის გარჩევა მოისურვა (რ.).

✦ 4 აპრილს მოსკოვში სრულიად რუსეთის ჰიდრავლიკთა კრება მოხდა. კრებამ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: „არა ერთხელ დამტკიცდა, რომ **ბიუროკრატიულ მთავრობას არ შეუძლიან და არც უნდა ჩვენს ცხოვრებაში რაიმე პროგრესიული რეფორმები მოახდინოს,** მიუხედავად იმისა, რომ ამ რეფორმების საჭიროება უმაღლეს ტახტიდანაც კი აღიარეს. ამიტომ ჩვენ აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია დაუყოვნებლივ მოწვეულ იქმნას დამფუძნებელი კრება, რომელიც საყოველთაო, პირდაპირ და ფარულ კენჭის ყრაზე უნდა იყოს დამყარებული. ჯერჯერობით კი, ეხლავე უზრუნველყოფილ უნდა იყოს პიროვნება, სიცოცხლე, დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდნენ პოლიტიკური და სარწმუნოებრივ რწმენისთვის დასჯილნი და დამყარდეს სრული თავისუფლება სარწმუნოებისა, სინდისისა, პრესსისა, სიტყვისა, კრებისა, კავშირებისა, გაფიცვისა და სხ. (მ. ვ.).

✦ პოლონელთა შესახებ მინისტრთა კომიტეტმა, სხვათა შორის, დაადგინა: **პოლონელთ მიწის მფლობელობის შესახებ მეტი უფლებანი უნდა მიეცეს** და გაუქმდეს ის შემავიწროვებელი ზომები პოლონელთა შესახებ, რომლებიც სახელმწიფოს ნამდვილ საჭიროებას არ ეწინააღმდეგებიან (?). გარდა ამისა გადაწყვეტილია—პოლონელები და რუსები იურიდიულად, შეძლებისა გვარად (?), გაათანასწორონ (რ. ვ.).

✦ გუშინწინ ვწერდით, რომ ფინანსთა სამინისტროში ერთმა დიდმა მოხელემ, ვინმე კასპეროვმა 130 ათასი მანათი გაფლანგა და გაიქცა. ეხლა გამოირკვა, რომ ამ ორიოდე წლის წინად კასპეროვს 40 ათასი მანათი გაეფლანგა. მთავრობას ეს ამბავი გაეგო, მაგრამ კასპეროვი პასუხის გებაში არ მისცეს, რადგან ეს „მოხელე“ **პატიოსან კაცად იყო ცნობილი** და იმის კეთილ სინდისიერებაში ეჭვი არავის არ შეეპარაო (რ. ვ.).

✦ გუშინ ვწერდით, რომ პეტერბურგის გრადონაჩალნიკმა განკარგულება მოახდინა, პეტერ-

---

ხელი არვის გაუღია.
მათის ცოდვით ცა აკვნესდა,
ახარხარდა ჯოჯოხეთიც:
მჴუობარს ჯარსა და თოფ-ზარბაზნებს
ვერ გადურჩა მუშა ერთიც.
ხოლო მათი მეთაური
ხორცით მოკვდა,—იქცა აზრად,
ზღვაში დაჯდა მფრინავ ნავზე
და განვიდა სოფელ-მაზრად.
შორს წავიდა, რომ ყოველ კაცს
გონებაში ჩაესახოს
და უფლება-წართმეული
თვალწინ ცხადად დაანახოს.
მკვდრების გუნდებს ღამის ბნელმა
თვის ფრთა შავი გადაჰფინა
და მნატვრელნი გასვენების
სამუდამოდ მიაძინა.
წყნარმა სიომ ჴირისუფლად
მათ დაჰქროლა, ზედ დაჰკვნესა
და ამბავი მათ გმირობის
შორს ახარა მთას და კლდესა...

V

ჰოი ღამე, ბნელო ღამე,
ჩემის ტანჯვის ყრუ მოწამე!
ამდენ მსხვერპლის თვალით მნახველს
ფიქრი რითმე დამიამე!
ურწმუნობამ მოჰკლა გული,
დამტკბობს იმედს უკრთო ფერი:
გაწყდა ხალხი უსამართლოდ
და მხნედა სდგას ისევ მტერი.
სულის ღონე შემელახა,
გულს ჩამიწვა გლოვა შავი,
დამიმარცხდა მისწრაფება
და შემძულდა ჩემი თავი!
ჰოი ღამე, ავო ღამე,
ჩემის ტანჯვის ყრუ მოწამე!
ხომ ხედავ, რომ აღარა ვარ?!
საიმედო მითხარ რამე!
ჩამისახე გულს იმედი,
გამიმაგრე მხდალი რწმენა,
თორემ დავდნი უნუგეშოდ
და დამუნჯდა მკვდარი ენა!
მამცნე აზრი მართლად მთქმელი,
რასაც ვიტყვი რომ ასრულდეს...
მინდა სიტყვა ისე ახდეს,
რომ ნათქვამი ხალხს არ სძულდეს...
ჰოი ღამე, წყნარო ღამე,
ხომ იმედით კვლავ დამნამე!
თვალ-წინ გაჩნდა სხვა სურათი—
სასიკეთო, ტკბილი რამე!
შენს შავს ფრთას ქვეშ წყნარად სძინავს
შესვენებულს ხალხს ერთ წამით
და მოვლენა ქვეყნის მხსნელი
იბადება ამ ტკბილ ღამით:
ეხედავ ჯარებს ჩარაზმულებს,
ჩაღრმილად კორდზე მდგარებს;
რაღაც აზრი დიდებული
ჩასახვიათ გულში ჯარებს.
კორდით მწყობრად ძირს მოდიან
ნაღვლიანნი, წარბ-შეხრილნი
და დგებიან იქ, სად ჰყრიან
მუშათ გუნდნი ჩაჩეხილნი.
გლოვის სახით დასცქერიან
მსხვერპლებს, მათგან აქ გამწყდარებს
და ცრემლები, წმინდა ცრემლნი
თვალს ადგებათ მამაც ჯარებს...
ჰოი ღამე, ტკბილო ღამე!
გული ლხინით გამიძღა მე:
დიდებული საქმის მოწმე
შევიქენით დღეს შენ და მე!
ჯარებს მუხლი მოუყრიათ,
გაწყდარ მუშებს თავს ადგიან,
განუსაზღვრავთ თავის ცოდვა,
სინანულის ცრემლსა ღვრიან.
მესმის გულის დამთუთქავი
ქვითინი და ხვეწნა მწარი:
სტირის ჯარი გულ-ამოსკვნით,
შენდობას სთხოვს მუშებს ჯარი...
ჰოი ღამე, ტურფა ღამე!
ამის მეტი რა მინდა მე?!
საოცნებო ამისრულდა
და აწ გინდ დღეც ჩამიღამე:
ცხოვრებაში გამობრწყინდა
საიმედო დრო და ხანა:
მსხვერპლი მსხვერპლად მაშინ ითქმის,
თუ ნაყოფი მოიტანა!..
ჰოი ღამე, ბნელო ღამე.
მისთვის მიყვარს შენი სახე,—
მხურვალ გულის ფიქრთა თვალით
ეს სურათი რომ მანახე!
გამიგრძელდი, ნუ გაჰქრები,
მემუსიკე, ჩემო ღამე:
გუშინ თავი რომა მძაგდა,
დღეს სიცოცხლე მომინდა მე!
სიცოცხლესთან ძაფს არ გავწყვეტ,
თუ იმედი მომეცა მე,
მხოლოდ ხშირად ამ სურათით
მომიფრინდი, ჩემო ღამე...

VI

ცივა მეტად... მზე არსად სჩანს,
აღარ აბრწყინებს ცას მის სხივი,
ხმელეთს ნისლი გადაჰკვრია
და სტვენს ქარი, ეს გულ-ცივი.
ზღვა ჰქუხსა და ზღვა როყინობს,
ქაფსა ჰყრის და პირს აღებს,
გულზე ქაფი ბრაზად ადგას,
თავს ახტება ტალღა ტალღებს.
გრიგალი ჰკვნესს, გრიგალი ჰყეფს,
რაღაცაზე თითქო სჩივის...
ზღვის ნაპირზე ქალწული დგას
და ზღვას თავზე გადაჰკივის:

„ზღვაო, ზღვაო,
შე გულ-ქვაო,
მომშვიდდი და მოიდარე
და მითხარი:
დღეს სად არი—
ის, ვინც მე შენ მოგაბარე?!

ებრძვის დელგას
და თვით ელვას,
ეჯიბრება სიმარდეზე?
თუ ამ ქარმა,
მომქუხარმა,
მიუდგა ნავი კლდეზე?!“

ზღვა როყინებს:
„რა გაყენებს
შენ იმაზე ასე შორსო?
ტალღა გრგვინავს:
მაგრად სძინავს
უფსკრულში შენს სულის სწორსო!

იქ წევს ქვაზე
და მას თავზე
ანგელოზი დასტრფის ზღვისო,
გულზე იგრავს,
წყურვილს იკლავს,
ჰკოცნის, მედამ გვერდს უზისო.

ხელში იყვანს,
მწყემსებით ჰბანს,
მარგალიტით თავს უკობსო,
აქეთ-იქით
დააქანებს,
ენაზებს, აშვილობსო!“

ქალი ჰკივის: „ზღვაო, ზღვაო,
შემავედრე, შე გულ-ზვავო!
მეც იმ ტალღებს გამაყოლე,
რომელთაც ის გადაჰყვაო.
მეც ზღვის ქალად გადვიქცევი,
ჩემსას ჩემად დავირჩენო,
თუ მე ჩემსას შევუერთდი,
გულზე დარდს არ დავიჩენო.
მეც იმის გზას დავსდგომივარ,
ჩაგრულთა რაზმში ვერევიო,
იმის ნაცვლად ცა და ქვეყნის
ძალ-სიმდიდრეს ველევიო!..“

ცახელი.

ბურგის კონსერვატორიის მოწაფენი **ებრაელნი 24 საათის შემდეგ უნდა წავიდნენ ქალაქიდანაო.** ებრაელებს უთქვამთ, დღეს თუ ხვალ ფული მოგვივა და წავალთო, მაგრამ გრადონაჩალნიკს უბრძანებია, ეტაპით წაიყვანეთო. ამავე დროს რუს მოწაფეებს მთავრობა ათასგვარ შეღავათს აძლევს: რუსებს შეუძლიანთ კონსერვატორიაში ხელმეორედ შესვლა. ვისაც სწავლის ფული არ შეუტანია, აცლიან, სალდათად არ გაჰყავთ და სხ. და სხვა. ასევე მოექცნენ ვარშავის უნივერსიტეტის პოლონელ სტუდენტებსაც. რუსეთში ყველა უმაღლესი სასწავლებელი დაიკეტა, მაგრამ გამოგდებით არავინ გამოუგდიათ (გარდა ებრაელებისა პეტერბურგის კონსერვატორიიდან), ვარშავის უნივერსიტეტიდან კი ყველანი გამოყარეს (დიდი უმრავლესობა პოლონელთ ეკუთვნით) და, ვისაც ვადამ მოუღწია, ჯარში გაჰყავთ (პ. ვ.).

◆ რუსეთის მთავრობამ შვეიცარიის მთავრობას შეატყობინა: დანამდვილებით გავიგეთ, რომ თქვენს სახელმწიფოში **რუსეთის ტერორისტთა პარტია ცხოვრობს**, ამიტომ გთხოვთ—მანდ მცხოვრებ რუსეთის ქვეშევრდომთ ადევნოთ თვალყურიო. რუსეთიდან შვეიცარიაში ამ საქმის გამო აუარებელი ენატანია ჩასული (ბ. ვ.).

◆ ვარშავაში ფარულად აუარებელი **იარაღი შემოაქვთ.** პოლიცია თვალყურს ადევნებს, მაგრამ ვერას ხდება (პ.).

◆ ქ. ოდესისა, კიევისა, ნიკოლაევისა, ხერსონისა, კიშინიოვისა, ბენდერისა და აკერმანის **ნაციონალ-მონარქისტების პარტია** ყველა ქალაქებში შემდეგ **მოწოდებას ავრცელებს:** რუსეთში არეულობა და აჯანყება იმიტომ ხდება, რომ ჩვენ ყოველთვის გვეძინა და არა-რუსთა, „ინოვერცებს", ყურადღებას არ ვაქცევდით. ჩვენი სისხლის მწოველები—ურიები, პოლონელები, ქართველები (!) და სომხები განუწყვეტლივ ყვირიან, ძირს თვითმპყრობელობაო, და უნდათ, რომ სახელმწიფოს მართვა-გამგეობა თვითონ ჩაიგდონ ხელში (?!).

ეს „პროკლამაცია" ასე თავდება: მალე, ძალიან მალე დადგება ის დრო, მეგობრებო, როცა რუსეთში ურიები არ იქნებიან. ყველა ჩვენი დარდი და უბედურება ურიების ბრალია. **ძირს მოღალატენი! ძირს კონსტიტუცია! გაუმარჯოს მეფეს!**

◆ რუსეთის საიმპერატორო ტეხნიკურ საზოგადოების მოსკოვის განყოფილებამ ვრცელი **რეზოლიუცია დაადგინა** რუსეთის შინაურ და გარეშე მდგომარეობის შესახებ. რეზოლიუცია ასე თავდება: ბიუროკრატია გვარწმუნებს, რუსეთს ყველაფერი აქვსო—მრეწველობაც, რკინის გზებიც, სავაჭრო ხელშეკრულობაც, კრედიტიც, შრომის დაცვაც და სწავლა-განათლებაც. ნამდვილად კი ეს მხოლოდ ლანდია. არც ერთი არც მეორე და არც მესამე გვაქვს. ეხლა კი, როცა საზოგადოებამ გაიღვიძა, ყველაფერი შეიგნო და დაინახა, ბიუროკრატიამ ისევ ძველსა და თავის საყვარელ ხერხს მიმართა: ცდილობს დაარწმუნოს საზოგადოება, რომ იგი ხალხისთვის ზრუნავს, შრომობს და მუშაობს. ამის დასამტკიცებლად ათას კომისიებს ადგენს, ხალხის საჭიროებას იხილავს და, როცა ეს კომისიები არაფერს აკეთებენ, გვარწმუნებს, რომ საქმე ყოველმხრივ უნდა გამოირკვეს, ამისთვის კი ბევრი დროა საჭირო. საზოგადოება, დიდი ხანია, დარწმუნდა, რომ ასე ცხოვრება შეუძლებელია, რომ ამ ბნელ მაღაროდან უნდა გამოვიდეს სახელმწიფო. მაგრამ გამოსასვლელ გზის პოვნა ბიუროკრატიას არ შეუძლიან.

შემდეგ ჩამოთვლილია ყველა ის, რაც საზოგადოებამ უნდა მოიპოვოს: სრული, ყოველმხრივი თავისუფლება და დამფუძნებელი კრება; ხალხის წარმომადგენლებსაო, სწერია რეზოლუციის ბოლოში,—ნება ეძლევათ კანონების გამოცემისა, ხარჯის გაწერისა, ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა და მთავრობის მოქმედების კონტროლი. რადგან ბიუროკრატიულ კომისიებს ხალხის წარმომადგენელთა მოწვევის საქმის გამორკვევა არ შეუძლიანთ, ამიტომ ეს საქმე მხოლოდ ხალხის წარმომადგენლებმა უნდა გადასწყვიტონ. ამასთან ამ საქმეში ბიუროკრატიამ არავითარი მონაწილეობა არ უნდა მიიღოს. მომავალი არჩევანი საყოველთაო, პირდაპირ და ფარულ კენჭის ყრით უნდა მოხდეს (პ.).

გუბერნატორის განცხადება.

„რადგანაც 11 აპრილიდან დაიწყო მსახურთა გაფიცვა, იმ პირთ, რომელთაც მუშაობას თავი გაანებეს, ვუცხადებ, რომ, მთავარმართებლის მოადგილის სავალდებულო დადგენილების ძალით, უკვე დატუსაღებულია რამდენიმე კაცი, რომლებიც ხელს უშლიდნენ და ემუქრებოდნენ იმათ, ვისაც სამსახურისთვის თავის დანებება არ სურდა.

რადგანაც არავის არა აქვს უფლება ძალ-მომრეობითა და მუქარით სხვას მუშაობაზე ხელი შეუშალოს, ამიტომ გაფიცულთ წინდაწინვე ვუცხადებ, რომ ძალ-მომრეობისა და მუქარის გულისთვის ყველას ასეთივე დასჯა მოელის, ხოლო იმ პირთ, რომლებიც სხვას დაჟინებით ხელს შეუშლიან, ქალაქში ცხოვრება აეკრძალებათ".

კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოების კრება.

სამშაბათს, 12 აპრილს, ექიმ ფიშერის თავმჯდომარეობით, შესდგა საზოგადოების მორიგი კრება. კრებას 50 წევრი დაესწრო, სხვათა შორის, გარეშე პირნიც. კრებას წინანდელ კრების ანგარიშები მოხსენდა. შემდეგ ამისა ექიმმა ავთანდილოვმა ფრიად საყურადღებო მოხსენება წაიკითხა კრებაში. რკინის გზის დახარეთში მას აღმოუჩენია ახალი ავადმყოფობა, რომელსაც სახელად „цереброспинальный менингитъ" უწოდეს და გამოიხატება ხერხემლისა და კისრის ძარღვების გაშეშებაში... როგორც მის მოხსენებიდან გამოირკვა, ამ ავადმყოფობას ეპიდემიური ხასიათი მიუღია და 28 თებერვლიდან ვიდრე 9 აპრილამდის ამ ავადმყოფობით 10 შემთხვევა უნახავს ექიმს. ამ ათში სამი მომკვდარა, ექვსი განკურნებულა და 1 ჯერ კიდევ ავად არის. მარტში ავადმყოფობა უფრო გაძლიერებულა. ეს ავადმყოფობა დაწყებულა სილეზიაში, იქიდან გადმოსულა რუსეთში ქ. ლოძში, აქედან სიმფეროპოლში, სადაც დახურულა ამის გამო გიმნაზია და, აი, ეხლა ტფილისშიაც იჩინა თავი. ამ საყურადღებო მოხსენებამ ცხარე ბაასი გამოიწვია. ექიმმა გედევანიშვილმა უამბო კრებას, ტფილისში მეც მყავდა „მენინგიტით" ავადმყოფიო: 6 წლის ბავშვს ერთ საღამოთი კისერში ტკივილი აუვარდა. მისცა 40° სიცხე. დილის 7 საათზე მენინგიტის ნამდვილი სურათი გადაშალა, ხოლო იმავე დღეს ნაშუადღევის 1 საათზე ბავშვი გარდაიცვალა. სხვა ექიმებმაც თითო თითო მაგალითი მოიყვანეს: ერთმა გვითა მეორე გიმნაზიის მასწავლებლის ბინაზე და მეორემ სათავად-აზნაურო სკოლის ეკონომის ბინაზე. სამკურნალო საზოგადოებამ დაადგინა: რადგანაც ამ ავადმყოფობას ეპიდემიური ხასიათი ეძნევა, წინადადება მიეცეთ ამ საზოგადოების წევრებს ამ საგანზე მოხსენება წარუდგინონ საზოგადოებას, სნეულების ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა მოახდინონ და ამ სენთან საბრძოლველი ზომებიც დაასახელონ.

კრებას მოხსენდა ვრცელი რეზოლიუცია იმ კომისიისა, რომელსაც დავალებული ჰქონდა შეემუშავებინა მოსაზრებანი სანიტარ-საექიმო ნაწილის გაუმჯობესების შესახებ, ხალხის ჯანმრთელობის დასაცველად:

1) სოფლის ექიმთა რიცხვი საკმარისი არ არის იმისთვის, რომ სოფლის ყველა მცხოვრებთ შეეძლოს ექიმის მოწვევა.

2) სხვადასხვა მაზრაში ექიმების სხვადასხვა რიცხვი უნდა აღინიშნებოდეს.

3) ამიერ-კავკასიაში სრულებით არ არის სასოფლო საავადმყოფოები და საკმარისიც არ არის ის საავადმყოფოები, რომლის გახსნა განზრახული აქვს მთავრობას.

4) უექიმობას კიდევ აძნელებს სოფლად უგზოობა და სოფლების ერთმანეთზე სიშორე.

5) გადამდებ სენის წინააღმდეგ ბრძოლა აქ საზოგადოდ ძნელია, ვინაიდან ხალხი ღარიბი არის და სწავლა-განათლების საქმეც მასში არ არის სასურველად დაყენებული, რას გამოც ხალხი ვერ უწყობს ხელს ექიმებს ყოველგვარ სენთან ბრძოლაში.

6) საექიმო ნაწილზე ფული ცოტა იხარჯება, ეგება საერობო ხარჯებში საექიმო ნაწილზე ცოტა მოდის.

7) არსებულ ადმინისტრატიულ საქმეთა მოუწყობლად ამიერ-კავკასიაში შეუძლებელია ვიქონიოთ იმედი, რომ ახლო მომავალში შესაძლებელი შეიქმნება საექიმო და სასანიტარო ნაწილების გაუმჯობესობა, ვინაიდან ეს რეჟიმი ხელს უშლის ყოველგვარ ცვლილების დროზე შემოღებას კავკასიაში.

8) ამიტომ საექიმო ნაწილის გაუმჯობესება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ხალხს ექნება მინიჭებული მეტი თავისუფლება. ამიტომ კომისია ემხრობა იმ გადაწყვეტილებას, რომელსაც ასე გარკვევით დაადგა ხალხი რუსეთის სხვადასხვა კუთხეში, სხვათა შორის, პიროგოვის უკანასკნელ კრებაზე ადმინისტრატიულ წყობილების ძირიანად შეცვლის შესახებ. ამისთვის მიაჩნია კომისიას საჭიროდ, იქმნეს შემოღებული კავკასიაში საერობო თვითმართველობა, რომელსაც უნდა ჰქონდეს მინიჭებული ყველა ადგილობრივ საქმეების მართვა და გამგეობა. ამ თვითმართველობას უნდა ჰქონდეს მინიჭებული საჭირო თავისუფლება და თვითმართველობაში მონაწილეობის მიღების უფლება უნდა ჰქონდეს მინიჭებული ხალხის წარმომადგენლებს განურჩევლად წოდებისა და ეროვნებისა.

ამავე კრებაზე ექიმმა გ. ლ. მარკევიჩმა წაიკითხა მოხსენება: ბრმა ნაწლევის ანთების შესახებ.

ჭლექის საწინააღმდეგო საზოგადოების წევრებად აირჩია კრებამ ექიმები: ოსტროვსკი და ფედოროვი, და ამ კრებასაც თავისი ბინა უსასყიდლოდ დაუთმო.

კორესპონდენცია

გურია. ყველგან სიმშვიდეა! მაგრამ „სიმშვიდე" იმას კი არ ნიშნავს, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ გურულების გულში ანთებული ცეცხლი უკვე ჩამქრალიყოს და სურვილი ცხოვრების განახლებისა ჩამკვდარიყოს. არა, ის ცეცხლი და ის სურვილი არას დროს არ ჩაქრება. სიმშვიდე იმაში გამოიხატება, რომ გლეხები წყნარად შეუდგნენ მუშაობას,—ასუფთავებენ და ამზადებენ სავანე მიწებს, რომ სიმინდი დასთესონ და თავის სარჩენი ჭირნახული მოიყვანონ.

ყველგან მუშაობაა. ადგილობრივმა მემამულეებმა ბევრ ალაგას დაუთმეს თავიანთი მიწები გლეხებს გლეხებისგანვე დაწესებულ ფასებში. გლეხები შემდეგ ფასებში იღებენ მემამულეთა მიწებს: 1-ლი ხარისხის მიწა—3 მანათად, 2-რე ხარისხისა—2 მანათად და მე-3 ხარისხისა—1 მანათად ქცევა. ზოგიერთი მემამულე კიდევ ძალიან უარობს: „როგორ მივცემ ასე მცირე ფასებშიო", მარა შემხვეწე არავინა ჰყავთ. პირიქით, გლეხები არავის არ შეხვეწნიან, არამედ თვით მემამულეებმა გაავრცელეს განცხადებები და იწვევდნენ მსურველთ: „რა ფასებშიაც გინდათ, წაიღეთ ჩვენი მიწებიო"...

ისეთი მუშაობის დროა ახლა, რომ მუშა კაცი იშვიათად გაჩერდება სახლში,—ზოგს სადოპავი აქვს, ზოგს—წყნელი მოსაჭრელი, ზოგს გუთანი უბია და სხვა. ხოლო ქ. ოზურგეთის განაპირა მიდამოებში მცხოვრებნი იძულებულნი არიან, ყველაფერ მუშაობას თავი მიანებონ, მუდამ სახლში ისხდნენ და იმის ფიქრსა და მოლოდინში იყვნენ, რომ კაზაკ-რუსები როდის შემოგვიხტებიან სახლში და როგორ მოვიგერიოთ! ისეთი დღე არ გაივლის, რომ ეს მშვიდობიან ხალხზე მონადირე „მოხალისენი" რომელსამე მცხოვრებს არ შეუხტნენ სახლში, არ წაართვან, თუ რამ მოახელეს, და შეურაცხყოფა არ მიაყენონ ოჯახში მყოფ ქალს, საქმით თუ ვერა, სიტყვით მაინც. ბავშვები და ქალები გარეთ ვეღარ გამოდიან შიშით. ყველა სასოწარკვეთილებაშია და არ იციან, როგორ აიცილონ თავიდან ასეთი თავხედობა! ბევრი ამბობს: „კი ვიცით, მაგნაირ მომხდურს როგორი დახვედრა უნდაო, მარა რას იზამ,—ცამდის მართალი რომ იყო, მაინც შენ გაგამტყუნებენ და, როგორც იქნება, უნდა მოვითმინოთ, თუ გასძლო გულმა, რომ ამით საქმეს არ ევნოსო".

მარა როდემდის? შესძლებენ კი?!

ჭაჭველელი.

ს. ცერონისი (ზემო ქართლი). იშვიათად თქმულა და უფრო იშვიათად დაწერილა რამე ჩვენი სოფლის ლხენა-გაჭირებაზე. არ დაწერილა, რადგან აქაურები ვსდუმდით და ჩვენს არსებობას არავის ვაგებინებდით. 14 მარტს კი ჩვენმა სოფელმაც დაარღვია დუმილი და გულ-ახდით და მოურიდებლად წარმოსთქვა თავისი გულის წადილი.

სხვა სოფლებთან შედარებით ცერონისის გლეხკაცობა ძალიან დინჯად მოიქცა: არც ერთი მემამულისთვის უბრალო უსიამოვნებაც კი არ მიუყენებიათ, არამც თუ მოუკლავთ, გაუცარცვავთ ან ცეცხლი წაუკიდებიათ ვისთვისმე.

პირველად ბოიკოტი გამოუცხადეს მემამულე თავადიშვილებს (9 კომლი ფალავანდიშვილია): ჩამოაცალეს ყველა მოსამსახურეები, მთელ ერთ კვირას მოუნდნენ თავიანთი მოთხოვნილებათა შემუშავებას და შემდეგ წარუდგინეს მემამულეებს და, ვინც ხელი მოუწერა, მაშინვე დაუბრუნეს მოსამსახურეები.

გლეხთა მოთხოვნილებანი შემდეგია:

1) ნადელი ჩვენი არის და უფასოდ უნდა მოგვცეს.

2) მიწის დალა 1/10-ს არ უნდა აღემატებოდეს.

3) გზისა და რუს გასაკეთებლად და საყარაულოდ ყველანი უნდა გამოდიოდნენ, განურჩევლად წოდებისა.

4) ტყე უფასო უნდა იყოს.

5) მოისპოს ამიერიდან ჩვენი შვილების სალდათად გაგზავნა საქართველოს გარედ.

6) მოისპოს აქციზი და არა პირდაპირი გადასახადები.

7) გაიხსნას სახელმწიფო ხარჯით სკოლა ქართულ ენაზე და ყველასათვის სავალდებულო იყოს სწავლა 16 წლამდის.

8) სასამართლოში შემოღებულ იქმნას ქართული ენა, რომ უთარჯიმანოდ შეგვეძლოს ლაპარაკი.

9) მღვდლებს მოესპოთ დრამის პური (კომლზე ორი კოდი).

10) ჯვრის საწერი მიეცეს 3 მან., სამარხი—1 მანათი.

11) აწ არსებული სამკურნალო სახელმწიფომ შეინახოს თავის ხარჯით.

12) საწყაო ჩანახი 20 გირვანქას არ უნდა აღემატებოდეს.

13) მემამულეს არ შეეძლოს თავის მამული არა ცერონელს მისცეს.

14) სახელმწიფო ხარჯი გადაიხადოს იმან, ვისაც 500 მან. მეტი შემოსავალი აქვს და სხვ.

არც თავად-აზნაურობა ჩამორჩა უკან ამ მოძრაობას ბოიკოტის გამოცხადებას ისე დაუხვდნენ, ვითომც წინდაწინვე მოელოდნენო, ერთი დღეც არ მოცდენილან: შეაბეს გუთნები და ისეთ მშვენიერს ოროვლას დასძახოდნენ, რომ სწორედ მოგეწონებოდათ. დაიწყეს ხვნა-თესვა და ამით დაამტკიცეს, რომ იმათაც შეუძლიათ გარჯა და მუშაობა.

დღეს კი აქაურები ყველაფერში შეთანხმდნენ და ერთობა დაამყარეს. ამოირჩიეს სოფლის მოხელეებად ორი გლეხი, ერთი აზნაური და ერთიც თავადიშვილი.

ფარი.

ს. წყემი (სამეგრელო). ამ სოფელში სხვა მეზობელ სოფლებთან შედარებით თავად-აზნაურობა მეტია, მაგრამ ამ უკანასკნელთა საქებრად უნდა ითქვას, რომ მათ გლეხებთან კარგი განწყობილება აქვთ. ჩვენ რა ვიცით, შეიძლება ზოგიერთი მათგანი გულში კიდევაც სწყევლიდეს იმ გამაცოცხლებელ ძალას, რომელმაც ამდენიხანი სხვის მონობაში მყოფ გლეხებს სული ჩაჰბერა, ფეხზე დააყენა და აქამომდე თითქო უენოს ენა აუხსნა, მაგრამ ეს მათი მოქმედებიდან მაინც არა სჩანს. ყველა ძმობას-ერთობას ეფიცება გლეხს, ყველაფერში მზადაა ამ უკანასკნელს ამხანაგობა გაუწიოს იმ საერთო საქმეში, რომელსაც დრო და საჭიროება მოითხოვს.

ხალხის ზნე-ჩვეულებაში შემდეგი ცვლილება მოხდა: ტირილის დროს წინანდელი უზომო ხარჯი მოისპო. უწინ თვით მახლობელი ნათესავიც ვერ ესწრობოდა სხვის გასვენებას, თუ ჩვეულებრივ მისატანი, გარდასაბურავი ფული არ ჰქონდა. დღეს ეს მოისპო და ყველა, თითქმის გარეშეც ესწრება ყოველ გარდაცვალებულის გასვენებას.

სასოფლო სკოლა დროებით დახურეს. სასამართლოც უარჰყვეს წყემლებმა. ხალხმა რამდენიმე ათისთავი და ასისთავი ამოირჩია და დროებით მათ მიანდო ყოველნაირ შინაურ საქმის მოწესრიგება. „სასამართლოში რომ წავიდეთ,—ამბობს ხალხი,—განა ისევ ჩვენიანებს არ მოითხოვენ მოწმებად? რაღა იქ მივდივართ, სხვასთან, ჩვენი საქმე ჩვენვე გარდავსწყვიტოთო," და სხვ. ამ უკანასკნელ დროში სურთ აქ მოსპონ 20 ივლისის, ელიობის დღესასწაულიც, რომელიც სოფელს კისერზე ათასნაირ ხარჯს აღებს.

ერთის სიტყვით, ხალხის ცხოვრებ უმჯობესდება...

ათავრენი მ.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! თქვენის პატივცემულ გაზეთ „ივერიის" № 48-ში დაბეჭდილია ლექსი „განცხრომის შვილი", ვიღაც გ. ზაზანაშვილის მიერ ხელმოწერილი. ეს ლექსი მე მეკუთვნის და დაბეჭდილიც იყო 1899 წ. „ივერია"-ში, შემდეგ ჩემ პირველ წიგნაკშიაც იყო მოთავსებული, რომელიც გამოვიდა 1902 წ. ამ სახელით: „ლექსები და მოთხრობები". მე მგონია, სხვისი ნაწარმოების მითვისება უზნეობა უნდა იყოს *).

ვ. რუხაძე.

---

*) რა თქმა უნდა, სხვისი ნაწარმოების მითვისება უზნეობა არის და ჩვენ დიდად ვწუხვართ ამ უნებურ შეცდომისათვის. რედ.

ღამის დეპეშები

13 აპრილი.

საიგონი. ჰავასის კორესპონდენტი დეპეშით იუწყება კამრანიდან, ოცამდე სამხედრო გემმა, როგორც ეტყობა იაპონიისამ, კვირას საღამოს კამრანთან გაიარა. ორი გემი, საიგონიდან იაპონიისკენ მიმავალი და ბრინჯით დატვირთული, რუსებმა შეიპყრეს. რუსის აფიცრები ამბობენ, როჟესტვენსკის ესკადრას გადაწყვეტილი აქვს იბრძოლოს, დაამარცხოს იაპონელები, დაუღუპოს გემები და, თუ გაჭირდა, მათთან ერთად თვითონაც დაიღუპნონ. ყოველ გემს განსაკუთრებული დანიშნულება აქვს. იაპონიის საადმირალო გემს საგანგებო გემით დაეცემიან.

ტოკიო. იუწყებიან, რადგან ახლო მომავალში თავისუფალი მიმოსვლა შეფერხდება, იაპონელები გაჩქარებით და განუწყვეტლივ ეზიდებიან ჯარს, ზარბაზნებს და სამხედრო მასალას იაპონიის ნავთსადგურებიდან მანჯურიაში.

სინგაპური. არტილერიის აფიცერი კნიგი დაპატიმრებულია და სამხედრო წესით იქმნება გასამართლებული, რადგან ორვიჩი მიუღია და დაუმალავს. ორვიჩმა განაცხადა, რუსეთის კონსული 400 დოლარს შემოიტანს და თავდებად დამიდგებაო, მაგრამ უარი უთხრეს.

პენანგ. დღეს ელოდებიან, რომ ბალტიის მესამე ესკადრა პენანგთან გაივლის. მოხელენი ყურეებს გაფაციცებით სდარაჯობენ.

ბინტაო. აქ მყოფ რუსის აფიცრებს საჩქაროდ ეუწყა, რომ ბალტიის ესკადრა კამრანიდან გავიდა სამხრეთისკენ, რომ მესამე ესკადრას შეუერთდესო.

ტანგოი. რუსეთის რამდენიმე კრეისერი ნავთსადგურიდან გავიდა, სამი კი ჯერ ისევ იქ არის. ამბობენ, რუსის გემები ახლა საინანში ისადგურებენო.

ტოკიო. საფრანგეთისაგან ნეიტრალიტეტის დარღვევის გამო, ინგლისის მთავრობამ ამ დღეებში გადასწყვიტა იაპონიას დაეხმაროს. ინგლისის ორი სამხედრო გემი საჩქაროდ წავიდა ჰონკონგიდან კამრანისკენ. აქ ჰგონიათ, რომ ბალტიის ესკადრა ტონკინის ნავთსადგურშია; მესამე ესკადრა ჰოლანდიის სანეიტრალო წყლებზე შოულობს სურსათსა და ამ ერთ კვირაში როჟესტვენსკის ესკადრას შეუერთდებაო.

იაპონელებმა ტოკიოდან აცნობეს ჩინელებს და იმათაც ხაინანის ახლო აღმოაჩინეს რუსების გემები, რომლებიც ნახშირით იტვირთებოდნენ. თუ ეს მართალია, ჩინელებს ძნელი საქმე გაუჩნდებათ: იმათ უნდა დაუშალონ შანჰაიდან გასვლა რუსის გემებს „ასკოლდს", „გროზოვოისა" და „მანჯურს" და ამავე დროს უნდა იზრუნონ, რომ რუსის გემები კანონით განსაზღვრულ ვადას იქით აღარ დარჩნენ ხაინანში.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ ლინევიჩისა: „9 აპრილს ჩვენმა მოწინავე ჯარმა მტერს თანდათან დააცლევინა სოფელი ველუანპუმინი, რის შემდეგ იაპონელებმა დაიჭირეს გამაგრებული პოზიცია ამ სოფლის სამხრეთად სამის ვერსის მანძილზე. ჩვენმა არტილერიამ და რაზმმა იაპონელების მარცხენა ფრთეზე მტერს უკან დააწევინა კაიუჩენისკენ და ამ დროს იაპონელებმა თავისი სურსათის საწყობი დასწვეს. 10 აპრილს ჩვენი ჯარი კვალად აწვებოდა მტერს და ქალაქ კაიუჩენამდე სდია; იმავე დღეს ჩვენმა მოწინავე რაზმებმა სხვაგანაც მტერი უკან დასწიეს და სდიეს ქალაქ ჩანტუფუმდე, რომელიც ძალიან გამაგრებული ყოფილა. ჩვენმა არტილერიამ აღმოსავლეთიდან სროლა დაუწყო და როდესაც დარწმუნდა, რომ ძალიან იყო გამაგრებული, უკან დაიწია. ჩანტუფუსა და კაიუჩენის გზაზე ჩვენმა მხედრებმა ტელეგრაფი გააფუჭეს.

პეტერბურგი შორეულ აღმოსავლეთიდან 12 აპრილს ოფიციალური ცნობა არ მოსულა.

გუნჯულინი. ხმა დადის, ვითომც კაიუანის სამხრეთით მცირე ბრძოლა მომხდარიყოს ხუნხეს ხეობით მიმავალმა ჩვენმა რაზმმა მეანთან მოწინააღმდეგე აღმოაჩინა. იაპონელთა თითქმის ორმა ბატალიონმა ქვეითა ჯარმა და ცხენოსანთა ერთმა პოლკმა, რომელთაც ჩვენმა არტილერიამ დაუშინა და ორივე ფრთით გარეშემორტყმას ემუქრებოდა, სურსათის საწყობები დასწვა და უღელტეხილისკენ დაიწია. მეორე დღეს, როდესაც ჩვენმა რაზმმა სოფელი ერხოლუ გაიარა, ქვეითა ჯარმა თოფი და ტყვიის მტყორცნელები დაგვიშინა, რის შემდეგაც იაპონელებმა სასტიკი იერიში მოიტანეს. ჩვენმა რაზმმა, რაკი შენიშნა მტრის ძლიერება, ხეიშიმისკენ დაიხია. ჩვენი დანაკარგი უმნიშვნელოა.

ტოკიო. სათადარიგო ჯარის წინანდელ 52 ბატალიონიდან შეადგინეს 52 პოლკი. ეს ჯარი შეადგენს მეექვსე და მეშვიდე ლაშქარს. კორეაში გამწესებული ჯართ-უფროსი ბარონი ხოტენგავა ერთ-ერთ ამ ლაშქართგანის უფროსად დაინიშნება. რამდენიმე კვირის წინად ოიამას კორეადან გაეგზავნა მიმშველი ჯარი, რომელიც ჯერ კიდევ გზაშია.

ჰონკონგი, 12 აპრ. ტოგო უკვე დაუახლოვდა რუსეთის ესკადრას, მაგრამ ვიდრე მთლად თავის ესკადრით შეებრძოლებოდეს, ჰფიქრობს რუსეთის გემებზე ჯერ ნაღმოსნებით მიიტანოს იერიში და დააზიანოს.

კანეა. ინგლისის კრეისერი «ლევიტან" და ოთხი კონტრ-ნაღმოსანი მალტას მივიდა.

ლონდონი. ,,საკას'' გემის კაპიტანს ბოტს ბრილიანტებით შემკული სიგარის კოლოფი გადაეცა—რუსეთის მთავრობის საჩუქარი ,,გარიაგის'' აფიცერთა და მატროსთა დახმარებისათვის ჩემულპოში.

პარიზი. ფიქრობენ, გუშინ ტიტონმა და უცხო სახელმწიფოთა წამომადგენლების წარმომადგენლებმა კრიტოსის შესახებ დაადგინეს, ხალხის დასამშვიდებლად ენერგიული ღონისძიება არ მიიღონ, რადგან მოსალოდნელია, რომ რეპრესიული ზომები ბალკანეთის ნახევარ-კუნძულზედაც იმოქმედებსო.

ბორდო. ლუბე დაესწრო დღესასწაულს გამბეტას ძეგლის აგების გამო. ბევრი სიტყვები წარმოითქვა ცნობილ სახელმწიფო მოღვაწის პატივსაცემლად. დიდი დღესასწაული იყო. ლუბემ პრეფექტურაში საუზმეზე მიიწვია 110 სტუმარი.

კოპენჰაგენი. ისლანდიაში ოქროს მადნები აღმოაჩინეს. მადნის დასამუშავებლად ამხანაგობა სდგება. ინგლისიდან მადნის მუშებს ელიან.

პარიზი. საფრანგეთსა და რუსეთს შორის სავაჭრო ხელშეკრულობის დამდებ კომისიის წევრები აირჩიეს.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № (3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 6) ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

6 **ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 1 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 50 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. 3 ს. 18 წ.; 4) სამგზავრო № 57 საღამოს ს. 206 წ. (7 ს. 18 წ.)

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა"

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. „ 5—8

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტეროსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტატეოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა.

თვალის სამკურნალო. კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამა წლის 25 აპრილს, შუადღის 12 საათზე, **დანიშნულია საჯარო ვაჭრობა** ქალაქის ადგილის იჯარით გასაცემად, ზომით 600 ოთხ-კ. საჟ.; ეს ადგილი იმყოფება ქალაქ ტფილისში, პოლიციის მე-10 განყოფილებაში, ტფილისის დამოვნის საწყობის პირდაპირ. პირობების განხილვა მსურველთ შეუძლიანთ ყოველ-დღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 9½ საათიდან 2½ საათამდე, ქალაქის გამგეობის მეოთხე განყოფილებაში.

(3—1)

Дозволено цензурою, Тифлисъ, 13 апрѣля 1905 г.
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა", ფრეილინის ქ., № 5.